ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 36

ხუთშაბათი, 24 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 36

ხუთშაბათი, 24 მარტი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: „**ივერიის ბიბლიოთეკა**“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ურთიერთ შორის დამხმარებელი საზოგადოება

აცხადებს, რომ ხსენებულ საზოგადოებას

პირველი საზოგადო კრება

მოხდება პარასკევს, 25 მარტს, დილის 10 საათზე, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში. უნდა მოისმინონ და განიხილონ შემდეგი საგნები:

1) მოკლე ისტორიული აღწერა საზოგადოების დაარსებისა; 2) წესდების შემმუშავებელ კომისიის წინადადება იმის შესახებ, თუ რანაირ პირობებით უნდა იქმნან საზოგადოების წევრებად მიღებულნი ისინი, რომელთაც საზოგადო კრების მოხდენამდე სურვილი განუცხადებიათ საზოგადოების წევრობაზედ; 3) მოსმენა წესდებისა და საზოგადოების მოქმედების დაწყება; 4) განსაზღვრა გამგეობისა და სარევიზიო კომისის წევრთა და მათის კანდიდატების რაოდენობისა, აგრეთვე მათი არჩევნები; 5) კითხვები, რომელნიც გამგეობის ორგანიზაციის საქმესთან არიან დაკავშირებულნი.

საზოგადოების წევრობის მსურველთ შეუძლიან ჩაეწერნენ ს. კ. მიხაილოვთან („ტფილ. ლ. სტ.“-ს რედაქცია), ა. გ. ჯაბადართან (ცნ. ფურც.“ რედაქცია) და რ. ა. იოანისიანთან (ქალაქის საკრ. საზოგადოება); აგრეთვე კრების დღეს საბჭოს დარბაზის შესავალში. (3—უ.—2)

გამგეობა **ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა** ამით აუწყებს წევრთ ამა ამხანაგობისას, რომ მდგომარე წლის აპრილის 3 რიცხვისათვის, დღით კვირას, დილის ათ საათზე, ს. კუხში დანიშნულია

ჩვეულებრივი წლიური საზოგადო კრება

განსახილველად და დასამტკიცებლად ამხანაგობის 1903 და 1904 წ.წ. ანგარიშებისა და სხვა მიმდინარე კითხვათა. 2—1

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს; დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩნაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპავა—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

კავკასიის ერთა პოლიტიკურ ცხოვრების საკითხი.

ჩვენდა სასიამოვნოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლოს დროს „ცნობის ფურცელმაც“ დაიწყო, ესრედ წოდებულ, „ერთობის“ საკითხის შესახებ ცოტათი გარკვეულად წერა [illegible] ბევრომ [illegible] **ბულიგინის კომისია** [illegible] (მშაკი).

სამწუხაროდ, მათს პრესსაში ამ საკითხის შესახებ თითქმის არა იწერება-რა, ყოველ შემთხვევაში გარკვეულად არაფერია გამოთქმული. მხოლოდ კანტი-კუნტად შევხვდებით ამა თუ იმ კერძო პირის აზრს პრესსაში და გაიგებთ ზოგიერთთა შეხედულებას კერძო ლაპარაკშიაც. რასაკვირველია, არც ერთი და არც მეორე მთელის სომხობის საერთო აზრად არ ჩაითვლება.

ეს ისეთი სერიოზული საკითხია, რომ მალულობის თამაშობა და რაღაც ნახევრად გასაგებ „ცერემონიით“ ხელმძღვანელობა არ შეიძლება. ჩვენც და იმათაც გულახდილად უნდა ვუთხრათ ერთმანეთს, რაც სათქმელი გვაქვს, და დაუფარავად გაეაგებინოთ ერთმანეთსავე ის ნიადაგი, რომლის გარეშე ურთიერთ შორის მეგობრული მორიგება და სასურველ განწყობილების დამყარება შეუძლებლად მიგვაჩნია.

მაგრამ სანამ ჩვენს რწმენასა და შეხედულებას გამოვთქვამდეთ, გვინდა აღვნიშნოთ ერთი აზრი, რომელიც ამავე საგნის შესახებ, ე. ი. შესახებ კავკასიის ერთა პოლიტიკურ განწყობილებისა, ბ-ნმა გ. თ.-მა გაკვრით გამოსთქვა გუშინ გაზ. „ახალ მიმოხილვა“-ში. ჩვენთვის ეს აზრი ბევრის მხრით საინტერესო და საგულისხმიეროა.

ბ-ნი გ. თ.-ი სწერს: „ამიერ კავკასიის მხოლოდ ორ გუბერნიაში ცხოვრობს ერთი ეროვნების ხალხი: ქუთაისის გუბერნიაში—ქართველები და ბაქოსაში—თათრები. ყველა დანარჩენი გუბერნია თანასწორად არის განაწილებული ქართველებსა, სომხებსა და თათრებს შორის. ყველაზე უფრო გაფანტულად ცხოვრობენ სომხები, იმიტომ კი არა, ვითომც მათ არ ჰქონდეთ ერთიანი ტერიტორია, არამედ იმიტომ, რომ კავკასიის გუბერნიებად დაყოფის დროს არ მიუღიათ მხედველობაში ის გარემოება, თუ რომელი ეროვნება მოხვდებოდა ამა თუ იმ გუბერნიაში. სომხების დასახლების უმთავრესი ტერიტორია სამად არის გაჭრილი; მას შეადგენს ტფილისის გუბერნიაში ახალქალაქის მაზრა, ბორჩალოს მაზრის აღმოსავლეთ-სამხრეთი ნაწილი, ერევნის გუბერნიაში—ალექსანდროპოლის მაზრა, ეჩმიაძინის მაზრის აღმოსავლეთი ნაწილი, და ახალ-ბაიაზეთის მაზრის უმთავრესი ნაწილი, და განჯის გუბერნიაში ყაზახის მაზრის დასავლეთ ჩრდილოეთი ნაწილი. აქვე მისამატია ყარსის ოლქის აღმოსავლეთ-სამხრეთი ნაწილი. ყველა ეს ადგილები [illegible] და ამიტომ შეიძლებოდა მათი შეერთება ერთ გუბერნიად, რომელშიაც იქმნებოდა ორი საარჩევნო ოლქი. ამ ტერიტორიაზე აქა-იქ ცხოვრობენ მწყემსები, იეზიდები და თათრები, ხალხის დიდი უმეტესობა კი [illegible] ამ უცხოურის [illegible] ხი მიეჩქარებოდა.

ბერნიებში ქართველი მილიონ-ნახევარზე მეტია და რუსი მხოლოდ 50,000. დიმიტრი ეპისკოპოსის მაგივრად, რომელიც თხოულობს რუსეთში გადაყვანას, რომელმაც თავის „მოღვაწეობით“ ააღელვა მთელი გურია და სამეგრელო, ისევე რუსის გამწესებას აპირებენ.

რა მიზეზია, რომ სასულიერო უწყება სჯის ძველი დროის ქრისტიანე ქვეყანას, რომელიც ათი საუკუნის განმავლობაში აჩერებდა მაჰმადიანთა შემოსევას და რომელიც 1550 წელიწადია ქრისტიანობას ადგია? ქართველი ხალხი მოკლებული ხდება აღსარებას, მას აღარ შეუძლიან იაროს ეკლესიაში, სადაც წირვა-ლოცვა მისთვის გაუგებარ ენაზე სწარმოებს. რუსეთში ყველგან აბრუნებენ ადმინისტრაციის წესით გადასახლებულ პირებს და ამავე დროს არ აბრუნებენ საქართველოში იმათ, ვისაც შეუძლიან გაავრცელოს ხალხში ქრისტეს სარწმუნოება ხალხისავე ენაზე და ვინც არის გადასახლებული რუსეთში, პროტ. ი. ვოსტორგოვის წარდგენის თანახმად, იმ ვოსტორგოვის, რომლის ხელშია აჟამად კავკასიაში ყველა საეკლესიო საქმის მართვა და გამგეობა. ქართველები ელიან იმ დროს, როდესაც მათ დაუბრუნებენ ეპისკოპოზს კირიონს, არქიმანდრიტს ამბროსის, ხელაიას, დავით კაჭახიძეს და სხვ., რომელთა ადგილას ახლა არიან რუსები, მოელიან იმ დროს, როდესაც ისევე გაიხსნება ქუთაისის სასულიერო სემინარია, რომელიც დაიხურა 1904 წ. და რომლიდანაც გამორიცხულია 65 ქართველი მოწაფე...

ახლა ხომ არავისთვის აღარ არის დამალული მიზეზი, რის გამოც დაიხურა ქუთაისის სემინარია. ამ სემინარიას ინახავდა იმერეთ-სამეგრელოს სამღვდელოება და რაკი იქ, იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში ცხოვრობენ ქართველები, ამიტომ არც ერთი რუსი არ სწავლობდა პირველად სემინარიაში. გადასწყვიტეს ამ სემინარიის გარუსება და ამიტომ დაიწყეს აქეთკენ სხვა სემინარიებიდან რუს სემინარიელების გადაყვანა და გამოუყვანდათ უმთავრესად ისეთი მოწაფეები, რომელთაც სხვა სემინარიებში სწავლაში ან ყოფა-ქცევაში ცუდი ნიშანი ჰქონიათ. და, აი, ასეთი მოწაფეები უნდა შეენახა თავის ფულით ადგილობრივ სამღვდელოებას. ეს იყო მამა ვოსტორგოვის აზრი, რომელიც არა ერთხელ გაუგზავნია ექსარხოსს პეტერბურგში სხვადასხვა უფლებების მოსაპოვებლად. [illegible] ველოს [illegible] მ შეგკითხე, მითხარ-მეთქი, რად [illegible] ასე?.. სწავლის პატრონი ქართველი მღვდელი... ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ქართველების უკმაყოფილება უკიდურესობამდე მივიდეს... სასულიერო მთავრობა საშიშ გზას ადგია! ახლა დრო არ არის იმ ხალხის გადამტერებისა, რომელიც მუდამ ერთგულად იყო და ეხლაც რუსეთის გულისთვის სისხლს ღვრის მანჯურიაში! რაც შეიძლება, მალე უნდა გამოიცვალოს ყველა სასულიერო პირი, რომელიც სთესავს მტრობას საქართველოში, ამით შეიძლება ქართველების დამშვიდება.

ქართული ენა არ არის „ძაღლის ენა“, მათი გალობა არა ჰგავს „მგლის ყმუილს“, როგორც აცხადებენ ზოგიერთები 1893 წ. დაწყებული. ეს ენა „ღვთისაგან მოცემული ენაა, რომელზედაც ადიდებდნენ უფალს ქართველი წმინდა მოწამენი“,—აი, ასეთი პასუხი გასცა ტფილისის სემინარიის 87 ქართველმა მოწაფემ რუსის ექსარხოსს ვლადიმერს, როდესაც მთავრობამ 1894 წელში დაითხოვა ისინი სემინარიიდან.

პ. დურნოვო.

(„რაზსვეტ“ № 17).

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

22 მარტი.

ვარშავა, 22 მარტი. სტუდენტებს გამოუცხადეს: ვარშავის უნივერსიტეტი, ახალ განკარგულებამდის დაკეტილი. სტუდენტები გამორიცხულად ითვლებიან და შეუძლიანთ დოკუმენტები გაიტანონ.

კალუგა, 22 მარტი. მეფაბრიკე-მექარხნეებმა და საფაბრიკო და სამთო ინსპექტორებმა გუბერნატორის თავმჯდომარეობით თათბირი გამართეს მუშათა მდგომარეობის განსახილველად.

ქერჩი, 22 მარტი. უცხოეთის ბევრი გემი უცდის აზოვის ზღვის ყინულისგან განთავისუფლებას.

პეტერბურგი, 22 მარტი. მათი უმაღლესობა პრუსიის პრინცი ჰენრიხი და პრინცესსა ირინა საზღვარ-გარეთიდან ცარსკოე სელოში მოვიდნენ. ვოგზალზე მათ უმაღლესობას დახვდათ ხელმწიფე და დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული. ვოგზლიდან მათი უმაღლესობა სახატო სტუმრებითურთ ალექსანდროვის სასახლისკენ გაემგზავრნენ.

პეტერბურგი, 22 მარტი. მინისტრთა კომიტეტმა 22 მარტის სხდომაზე განიხილა 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანების მეშვიდე მუხლი, რომელიც უმთავრესად [illegible] გუბერნიების მდგომარეობის [illegible] შენს ბოროტ სჯხას აგრე [illegible] ატკბობდა.

✦ ტფილისის ტეხნიკურ სასწავლებლის დირექტორს დეპეშა მოსვლია, ის მოწაფეები, რო- [illegible]

✦ ფოთის ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა

[illegible] ამ ნომრისათვის. სასურველია ბარათების მომგერთა ფოტოგრაფიული სურათების ნახვა. ახალგაზრდა კაცი იძლევა პატიოსან სიტყვას, რომ მიღებულ ბარათების შინაარსი არავის არ ეცნობება. ხელმოუწერელ წერილებს არავითარი ყურადღება არ მიექცევა...“ ან კიდევ ამნაირი: „[illegible] შესული ვაჭარი, რომელსაც რამდენსამე [illegible] ღირებული სავაჭრო სახლი აქვს, [illegible] ცოლს,—ქვრივსაც არ დაიწუნებს. რადგან [illegible] განზრახვა აქვს სავაჭრო მაღაზია ერთი-ორად ადიდოს, ამიტომ მზითევიც საჭიროა (ფულით). ვისაც სურს, პირობები და თავისი ტანადობის და ხასიათის აღწერა უნდა გამოგზავნოს დაუყოვნებლივ ამა და ამ ადრესით. ქორწინება უნდა მოხდეს ორი თვის განმავლობაში..“

ქართველი მკითხველის სამართლიანი განცვიფრება განრისხებით შეიცვლებოდა, როდესაც ცოტა ხნის შემდეგ ასეთ განცხადებას მოჰკრავდა თვალს: „ახალგაზრდა თვრამეტი წლის ქალი, მდიდარი და ფრიად ლამაზი, პატივცემული ოჯახის წევრი, გათხოვების სურვილს აცხადებს. მსურველმა უნდა წინდაწინვე იცოდეს, რომ გაუთხოვარ ლამაზ ქალს უქმროდ პატარა ქალიშვილი ჰყავს, რომელიც მან უნდა იშვილოს. მამაკაცთა ფოტოგრაფიული სურათი აუცილებელია. ცნობები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით»...

მკითხველის გაკვირვებას საზღვარი არ ექნებოდა, გაზეთს მაშინვე გადააგდებდა და თავის თავს ჰანნიბალისებურ ფიცს მისცემდა, რომ არაოდეს არ გამოეწერა და არ წაეკითხა ის ურცხვი გაზეთი, რომელმაც გაბედა ასეთ უზნეო განცხადებათა გამოქვეყნება. „ეს ხომ ნამდვილი გახრწნილებაა,—აჩქარებით წამოიძახებდა ის,—სიყვარული, ეს ერთად-ერთი წმინდა გრძნობა, რომელიც თანამედროვე ადამიანს კიდევ შერჩენია, სავაჭრო სპეკულიაციის საგნად გახადეს“. სიყვარული და ყიდვა-გაყიდვა, ეს მისთვის გაუგებარი და საშიშარი რამ არის. ვინ იცის, რა სასოწარკვეთილებას არ მიეცემა გაცხარებული ქართველი თანამედროვე კულტურის და საზოგადოებრივი ზნეობის გამო. კარგი, რომ ქართულ გაზეთებში ასეთი შინაარსის განცხადებები ჯერ-ჯერობით არ იბეჭდება, თორემ მკითხველთა ისედაც მცირე წრე შესამჩნევად შემცირდებოდა.

გერმანიაში კი ამგვარი განცხადებები ჩვეულებრივი მოვლენაა,—ვერც ერთს გაზეთს (რა მიმართულებისაც უნდა იყოს) ვერ ნახავთ, რომელშიაც ასეთი განცხადება ბლომად არ იბეჭდებოდეს. გერმანიაში (და საზოგადოდ ევროპაში) ასეთი მოვლენა არავის აკვირვებს, ისე, როგორც ჩვენში არავის აკვირვებს განცხადება ახალ სასტუმროს გახსნის შესახებ. არსებობს აგრეთვე სპეციალური გაზეთები, რომელშიაც მხოლოდ „სასიყვარულო“ განცხადებები იბეჭდება. ბერლინში ვერც ერთ მთავარ ქუჩაზე ვერ გაივლით, რომ გაზეთის დამტარებელმა Heiratszeitung („ცოლის შერთვის გაზეთი“) ხელში არ მოგაჩეჩოს. აი, ასეთია დასავლეთი! რუსთა სლავიანოფილები ხომ უმიზეზოდ არ უწოდებდნენ მას „დამპალ ევროპას!“.

თანამედროვე გართულებულმა ცხოვრებამ „სიყვარულსაც“ დააჩინა თავისი დაღი. ძველი დროის უანგარო და რაინდული სიყვარული ჩვენმა პრაქტიკულმა საუკუნემ უბრალო „საქმიანობად“ გახადა. თანამედროვე „კულტურული“ ადამიანი სიყვარულსაც სარგებლობისა და ყაირათის პრინციპით ზომავს. გამწვავებული ბრძოლა არსებობისათვის ანგრევს იდილლიურ განწყობილებას: ყველა ცდილობს ცხოვრებიდან გარიყული არ დარჩეს, რისთვისაც საშუალებას დიდად არ ერიდება. სიყვარულის გრძნობა ანგარიშს უთმობს ადგილს. თუ ამ ასიოდე წლის წინად დიდებული იმმანუილ კანტიც კი სერიოზულად ურჩევდა თავის მოწაფეებს, მდიდარი ცოლი შეირთეთ და მაშინ თავისუფლად შესძლებთ ფილოსოფიით მეცადინეობას, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ნივთიერ უზრუნველყოფისადმი მისწრაფებას თანამედროვე ადამიანის მოქმედებაზე. როდესაც კონკურენციამ უმწვერვალეს წერტილამდე მიაღწია და როდესაც ცხოვრება შეუდარებლად გაძნელდა, ყველა იძულებულია წამდაუწუმ თავის მრავალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის თვითონვე იზრუნოს და, თუ როგორმე მიზანს მიაღწევს,—კმაყოფილიც არის. ამა თუ იმ საქციელის ზნეობრივ გამართლებაზე თითქმის აღარ ფიქრობენ. ან როგორ უნდა იფიქრონ, როდესაც შეუბრალებელი ცხოვრება სასტიკ ულტიმატიუმს უდგენს: ან უნდა გაჰქრე და ან პრაქტიკულ საუკუნის კანონებს ძალაუნებურად დაემორჩილო...

ასეთი „ძნელი“ და ზნეობის მხრით დასაგმობი მოვლენა მტკიცედ შეკავშირებულია ვაჭრობა-მრეწველობისა და მოქალაქობრივს განვითარებასთან. ვინ იცის, ეკონომიურ ცხოვრების განვითარებამ, იქნება, ერთ დროს ჩვენშიც გამოიწვიოს მსგავსი მოვლენა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ევროპაშიც ერთ დროს ზემოაღნიშნულის მსგავსი განცხადება საერთო წყრომას გამოიწვევდა, მაგრამ შემდეგ დრონი იცვალნენ,—tempora mutantur...

ცნობილია, რომ ახალ საეკონომიო ეპოქის ერთ ნიშნობლივ თვისებას შეადგენს რეკლამის მნიშვნელობის საოცარი გადიდება. თანამედროვე მრეწველი, ვაჭარი, მეურნე და სხვანი იძულებულნი არიან საქონელზე მყიდველ საზოგადოების ყურადღების მისაქცევად რეკლამით ისარგებლონ. აუარებელი ფული იხარჯება უსარგებლოდ, რადგან რეკლამა საქონლის ღირსებას და ღირებულებას არაფერს უმატებს. მიუხედავად ამისა, წარმოებისა და საზოგადოდ რაიმე სამრეწველო-სავაჭრო საქმის არსებობა და განვითარება გერმანიაში ურეკლამოდ ძნელად წარმოსადგენია. პრაქტიკულ გერმანელს შესისხლხორცებული აქვს ის აზრი, რომ გაჩუმებითა და განაზებით ვერაფერს გააკეთებს, რომ საზოგადოების ყურადღების მისაქცევად საჭიროა ახმაურება და ქებათა ქების შესხმა...

რა განცხადება გნებავთ, გერმანულ გაზეთში ვერ ნახოთ. გაზეთები სავსეა ყოველგვარ ჩვენთვის უცნაურის განცხადებებით, მაგ.: გერმანელს სურს სადმე სასეირნოდ წასვლა, ან ამხანაგებთან ქაღალდის თამაში ან სხვა ამგვარი, მაგრამ მისი ნაცნობები უარს ამბობენ. მარტოდ წასვლას კი მნიშვნელობა არ ექნება. მაშინვე აცხადებს ადგილობრივ გაზეთში თავის სურვილს და სთხოვს მსურველთ, თანხმობა წერილობით შეატყობინონ, და ამრიგად ადვილად პოულობს ამხანაგებს.

რადგან პრესსა ამ მხრივაც ყველასათვის აუცილებელია, გაზეთებსაც ბლომად იწერენ. ვერ შეხვდებით ისეთ ოჯახს, სადაც არ ჰქონდეთ რამოდენიმე ყოველდღიური გაზეთი. განცხადებათა წაკითხვა საქმიან გერმანელისათვის სიამოვნებასაც კი შეადგენს. თუ ჩვენში სადილის დროს უმთავრესად პოლიტიკაზე ბაასობენ, აქ სამაგიეროდ განცხადებებს კითხულობენ და მით ირთობენ თავს. თუ რამდენად გავრცელებულია გერმანიაში გაზეთები, ეს სჩანს, სხვათა შორის, შემდეგის ფაქტიდანაც: ერთ პროვინციალურ ქალაქში ექვსი გაზეთი გამოდის, რომლებშიაც განცხადებებისა და დეპეშების მეტი არა იბეჭდება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უშინაარსო გაზეთები გონების საზრდოდ არავითარ მასალას არ იძლევიან, თითოეულ მათგანს მაინც ოც-ოცი ათასი ხელის-მომწერი ჰყავს წლიურად (მცხოვრებთა რიცხვი უდრის მხოლოდ 70 ათასს). აქ კომენტარიები საჭირო აღარაა...

რეკლამას უნდა მიმართონ სერიოზულ გაზეთებმაც. მათი განცხადება ხელის მოწერაზე ნამდვილი მოწოდებაა. ავიღოთ, მაგ., ერთის კარგად ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწის ფრ. ნაუმანის გაზეთის განცხადება. ფრ. ნაუმანი ისეთი კაცია, რომ მისს უანგარობაში მის მტრებსაც-კი არ შეაქვთ ეჭვი. მისი ორგანო აცხადებს: „ჩვენ გთხოვთ! მიმდინარე წლის პირველი მეოთხედი თავდება. ახლოვდება ისევ ის დღე, როდესაც წიგნის მაღაზიის პატრონებმა და ფოსტამ წლის ახალ მეოთხედისათვის ჩვენ მკითხველთ ხელის მოსაწერი ბლანკი უნდა წარუდგინონ. ჩვენ იმედი გვაქვს,—და—ტყუილად არა,—როგორც აქამდის ჩვენი გაზეთი საბრძოლველი ამხანაგი და მრჩეველი იყო პოლიტიკისა, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში, ისე მომავალშიც ეცდება აჩვენოს გერმანელ ხალხს გზა თავისუფლებისადმი და ძლიერებისადმი, კაცებსა და ქალებს აამუშავებს ხალხის ამაღლებისა და განათლებისათვის. ეხლანდელი მდგომარეობა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში გვათქმევინებს, თუ რა საჭიროა ამ კითხვებზე კარგად და საქმიანად პასუხის გაცემა. ამ მაღალსა და ძნელ დანიშნულებას ჩვენი გაზეთი მხოლოდ მაშინ შეასრულებს სასურველად, როდესაც ჩვენი მკითხველიც თავის მხრით ნდობით დაგვასაჩუქრებს. ამიტომ გთხოვთ კიდევ: ხელის მოწერას ნუ შესწყვეტთ! მოაწერეთ ხელი თქვენთვის და თქვენის მეგობრებისათვის. ყველა მეგობრებს წინდაწინვე ჩვენი მადლობა. რედაქცია“.

ქართული გაზეთისათვის ასეთი მოწოდების გამოქვეყნება სათაკილო იქნებოდა და, ვინ იცის, რით ახსნიდნენ ამგვარ სითამამეს. მაგრამ გერმანიაში ესეც ჩვეულებრივი რამ არის. რატომ?—იკითხავს მკითხველი. იმიტომ, რომ აქ ყველა დარწმუნებულია,—მხოლოდ თამამის, ენერგიულ მოქმედებით შესაძლებელია გავლენის მოპოვება, მხოლოდ ასეთი ახმაურებითა და რეკლამით პრესის ხმა არ დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“. მხოლოდ სიცოცხლით სავსე და ამასთანავე სერიოზული პრესსა შესძლებს გართულებულ ცხოვრებას ანგარიში გაუწიოს და ამას გერმანული პრესსის მაგალითიც საკმაოდ ამტკიცებს...

რადგან გერმანელთა უცნაურ ზნე-ჩვეულებაზეა ლაპარაკი, მეტი არ იქნება, თუ კოცნის თავისუფლების ჩვეულებასაც გავეცნობით. ნაცნობები მარწმუნებდნენ, რომ ყველიერში სამი დღის განმავლობაში ყველას უფლება აქვს ქუჩაში გამვლელი ქალი (უცნობი თუ ნაცნობი) გააჩეროს და აკოცოს, მაგრამ თქვენს უმორჩილეს მონას ეს მაინც არა სჯეროდა. ვერ წარმომედგინა, რომ სერიოზი გერმანელები, რომელნიც თავის ზნეობრივის სიფაქიზით დიდად ამპარტავნობენ, რომელნიც რუსებსაც კი დასცინიან „თავისუფალ სიყვარულისათვის“, ნებას მისცემდნენ თავს უცნობ ქალთა ლოყებზე ნებადაურთველად ევარჯიშნათ. უნდა გამოვტყდე, რომ მოუთმენლად მოველოდი იმ დროს. წარმოიდგინეთ, გამართლდა ნაცნობთა ნათქვამი (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ჩვეულება უმთავრესად კათოლიკეთა ქალაქებშია შემოღებული; პროტესტანტები საზოგადოდ უფრო გულცივი ხალხია). სამი დღის განმავლობაში მთელ ქალაქს სულ სხვა ფორმა მიეცა: ძნელი წარმოსადგენია ისეთი სიცხოველე და მყუდრო მცხოვრებთა ისეთი აფორიაქება, როგორიც არის ყველიერში. ქუჩებში გავლა სახიფათოა, რადგან იქ მყოფი მრავალი ქალი და კაცი „კონფეტის“ სროლით მოსვენებას არ გაძლევს. და თუ შემთხვევით პირი ღია დაგრჩათ, ინანებთ, რადგან მაშინვე ძველის კონფეტით გაავსებენ. საერთო მხიარულებაა. ამ დროს ყველანი „შენობით“ ლაპარაკობენ, თითქო ყველა ერთი ოჯახის წევრი იყოს. შეგიძლიანთ გერმანელთან რამდენსამე წელს ერთად სცხოვრობდეთ, მაგრამ მის უკიდურესს ინდივიდუალისტურ ბუნებისათვის მაინც შეუძლებელი იქნება გულითად განწყობილების შემოღება. მაგრამ ამ დროს კი მოუხეშავი ინდივიდუალისტიც ყველაფერს ივიწყებს და თავისის სიმხიარით ქართველსაც კი გააკვირვებს. რაც შეეხება კოცნას, ეს ხომ ნება-დართულია: შეგიძლიათ თავისუფლად და მოურიდებლად გამვლელ-გამომვლელი ქუჩაზე გააჩეროთ და... აკოცოთ. არავინ პროტესტს არ განაცხადებს. და ეს არა მარტო ქუჩაზე, არამედ ყოველგან, ყავახანებსა, სასტუმროებში, საცეკვაო საღამოებზე და სხვ. ასე მხიარულად ატარებენ გერმანელები ყველიერს. მათ შრომაც უყვართ და მხიარულად დროს გატარებაც.

Rali.

მთავრობისა და მის აგენტების წინააღმდეგაა ჩაგონებული.

რომი, 22 მარტი. მთავრობამ გადასწყვიტა, 15 მაისს მოიწვიოს კონფერენცია საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დასაარსებლად. იმ სახელმწიფოებს, რომელთაც სურვილი განაცხადეს ამ საქმეში მონაწილეობის მიღებაზე, განცხადებანი გაუგზავნათ თავიანთ წარმომადგენლების ამოსარჩევად.

ლისაბონი, 22 მარტი. პალატის სხდომა დიდის ამბით დაიწყო. მეფემ სეფე-სიტყვა წაიკითხა, რომელშიაც აღნიშნა პორტუგალიის სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულება და მომავალ სამედიატორო სასამართლოს დაარსება.

კანნი, 22 მარტი დილით თეატრ „გალია“-ში გაიმართა სადღესასწაულო წარმოდგენა დაჭრილ რუსების სასარგებლოდ. დარბაზში ტევა აღარ იყო.

კიევი, 22 მარტი. შუადღისას ქარ-ბუქი დაიწყო. განუწყვეტლად თოვს.

მოსკოვი, 22 მარტი. პარიკმახერთა ქარგლებმა შინაგან საქმეთა მინისტრს ათას კაცისაგან ხელმოწერილი თხოვნა მიართვეს. თხოულობენ სამუშაო დღის ორი საათით შემცირებას. მოსკოვის რკინის გზებმა დეპეშით განკარგულება მიიღეს, დროებით შეაჩერონ სევასტოპოლში გასაგზავნ ბარგის მიღება.

მოსკოვი, 22 მარტი. სარატოვის რკინის გზის სახალხო მატარებლის ერთ ვაგონში ბარგის გადამზიდველმა ჩემოდანი და ტომარა იპოვა. ტომარაში რევოლვერის ორი ათას ორმოცდა ათი მსხვილი ტყვიები აღმოჩნდა.

ხარკოვი, 22 მარტი. «იუჟნი კრაი»-ს რედაქტორმა იუზეფოვიჩმა მშრომელ ხალხისთვის სახლების ასაშენებლად თხუთმეტი ათასი მანათი შესწირა და დაჰპირდა, ამდენს კიდევ შევწირავო.

ვენა. აქ დაარსდა შიდა-ევროპის სამეურნეო კავშირი, რომელსაც აზრად აქვს საერთაშორისო მიმოსვლა გაადვილოს, გასატან საქონელს მფარველობა გაუწიოს და ბაზარი გაუფართოვოს.

სარატოვი. ერობის საგუბერნიო კრებამ აუცილებელ საჭიროებად სცნო შემდეგ რეფორმების შემოღება: მასწავლებლების მიღებისა და დათხოვის ნება მიეცეს იმ დაწესებულებათ, რომლის ხარჯითაც სასწავლებელი ინახება; მასწავლებელთ სასამართლოს განჩინებით აეკრძალოთ სკოლაში მოღვაწეობა და სკოლის ისნპექცია დაექვემდებაროს იმ დაწესებულებას, რომლის ხარჯითაც სკოლა ინახება.

კალუგა. ერობის საგუბერნიო კრებამ ხოლერის საწინააღმდეგო ზომებისთვის 50 ათასი მანათი გადასდო. ამ ფულიდან თითო მაზრას სამ-სამი ათასი მანათი მიეცემა და დანარჩენი ფული კი სანიტარულ რაზმის შედგენასა და მოძრავ სადეზინფექციო კამერის შეძენას მოხმარდება.

პარიზი, 22 მარტი. პეტერბურგში მეოფი კორეის ელჩი პარიზში მოვიდა.

ბენუია, 22 მარტი. გუშინ დილით აქ მოვიდ ინგლისის დედოფალი. აოსტის ჰერცოგინია და ადგილობრივ მთავრობის მოხელენი დედოფალს მიეგებნენ. დღეს დედოფალი მარსელს წავიდა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

22 მარტი.

ტოკიო, 22 მარტი. (რეიტერი). ოფიციალურად იუწყებიან, 10 მარტს კაიუანში იაპონელებმა ჩრდილოეთისაკენ განდევნეს რუსები, რომლებსაც კაიუანიდან სამ [illegible] დების განცხადება, რომელნიც ტაშისკვრით ეგებებოდნენ უოველს თავის მექომაგეს, სამაგიეროდ ხმ. ევანგულოვს ბევრი «ჩუმად», «არ გვინდა» უყვირეს. ამნაირი „ჩარევა“ ხმოსნების სჯა-ბაასში ძლიერ იუკადრისა ხმ. შახ-ბუდაღოვმა, რომელმაც განაცხადა: თუ გარეშე საზოგადოება ასე მოიქცევა, მე სხდომიდან წავალო...

ავლაბრელების საქმე ასე გადასწყდა: ელექტრონის რკინის გზას სირაჯხანის აღმართის მაგიერ ციციანოვის აღმართზე გაიყვანენ, რისთვისაც საბჭომ გადასწყვიტა:

1) დაუყოვნებლივ შეუდგეს მუხრანის ხიდის აგებას.
2) დააწესოს ხიდზე სასიარულო გადასახადი.
3) ისესხოს საჭირო ფული.
4) სესხის შოვნამდის ხარჯს მოანდომოს 400,000 მან., რომელიც გადადებულია შუა ბაზრისთვის.
5) მოსთხოვოს საზოგადოებას 400,000 მანათი ეხლავე შემოიტანოს და
6) ეს ფული ქალაქმა სრულ საკუთრებად იცნოს.

კრების დასასრულ საბჭომ გადასწყვიტა, მეპურეთა თხოვნის თანახმად, $^1/_2$ კაპეიკი მოუმატოს 1 და 2 ხარისხის პურის ნიხრს.

რუსეთი

„რუსკაია ვედომოსტში“ დაბეჭდილია წერილი ცნობილ მწერლის ვ. კოროლენკოსი. აი, რასა სწერს იგი, სხვათა შორის: ამ წლის იანვარში, როგორც მოსკოვში, ისე რუსეთის სხვა ქალაქებშიაც, გაკრული იყო განცხადება, რომელიც მთავრობას ვიღაც ჩერეპ-სპირიდოვიჩმა გამოუგზავნა. ამ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ მუშათა მოძრაობა ინგლისელებისა და იაპონელების ფულით არის გამოწვეული. ეს განცხადება მთავრობამ სიცრუედ იცნო და კიდეც უარყო საზღვარ გარედ, მაგრამ შიდა რუსეთში ეს ხმა ისევ გავრცელებულია და, ასე გასინჯეთ, სინოდის უქაზის ძალით, ეკლესიის კათედრიდანაც კი უქადაგებენ ხალხს. ამნაირად, ერთობისა და სოლიდარობის ნაცვლად, იმის მაგივრად, რომ პატიოსნურად გამოარკვიონ შინაური აწეწილი საქმე,— გონებას და სინიდისს რუსეთის ხალხისას რჰყვნიან შურით, სიძულვილის თესვით, სთესენ საშინაო მტრობას და შურისძიებას. ნუ თუ ასე უნდა გამრავლდეს ეს საქმე და, თუ საჭიროა მოისპოს, როგორ უნდა მოისპოს? აი ამ კითხვით მივმართავ იმათ, ვინც ეკლესიის ბედს განაგებენ,

სხვა ადგილებში არავითარი ამბავი არ მომხდარა. 19 მარტს იაპონელებმა რუსების სანიტართა კრებული,—რიცხვით ხუთასი კაცი,—გაანთავისუფლეს. ყველა მათგანი დიდს მადლობას უძღვნის იაპონელებს ნამდვილ ადამიანურ მოპყრობისათვის.

ბერლინი 22 მარტი. „ლოკალ ანცეიგერ“-ს ტოკიოდან აუწყებენ: გერმანიის კრონ-პრინცის ქორწინებაზე დასასწრებლად პრინც არისაგავის წასვლისა გამო ჟურნალ-გაზეთობა სხვადასხვა აზრისა არისო. „კუკუმინი“ ამბობს: პრინცის მგზავრობას არავითარი პოლიტიკური ხასიათი არა აქვს, მაგრამ გერმანიის იმპერატორი ამ სტუმრობას ისე ხსნის, ვითომც იაპონია გერმანიას ისე უყურებს, როგორც ნეიტრალიტეტის მტკიცედ დამცველ სახელმწიფოსაო. „ნიჩი-ნიჩი“ პრინცის წასვლას ისე უყურებს, როგორც იაპონიის მხრივ ზრდილობიანად მოქცევას, რომლითაც მომავალში მათ შორის დამოკიდებულებანი უფრო გაუმჯობესდებაო. ,,იმი‘‘ მსჯელობს,—ომის გათავების შემდეგ იაპონია, ინგლისი, შეერთებული შტატები და გერმანია მშვიდობიანად და შეთანხმებით იმოქმედებენ შორეულ აღმოსავლეთში, რადგანაც მისი კარები ყველასთვის ღია იქნება და ყველას თანასწორი უფლება ექნება ჩინეთში ვაჭრობისაო. ,,ნიპონი‘‘ ამბობს, იაპონია და გერმანია აღმოსავლეთში ყოველთვის მასწავლებლად ითვლებოდნენო.

ტოკიო, 21 მარტი. გაზეთ „ნიპონ“-ს სარწმუნო კაცისაგან გაუგია, რომ ზავის შესახებ ხმები რუსეთის მიერ მოგონილი ჭორიაო. ზავი რუსეთის გულწრფელობაზეა დამოკიდებული. ახლა რუსეთს სურს მხოლოდ გაიგოს, რა პირობით ჩამოაგდებს იაპონია ზავს, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ იაპონია ყველა ამ ხმებს ფინანსიურ ხრიკებად მიიჩნევს და მზად იქნება ომი ბოლომდის განაგრძოსო

(ღამის დეპეშები იხ. მეოთხე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან.

რუსეთის ჯარის უკან დახევა. უკანასკნელ ცნობებიდანა სჩანს, რომ რუსეთის ჯარის სტრატეგიული მდგომარეობა თანდათან ფუჭდება. იაპონიის ჯარი კაიუანის აღების შემდეგ ორ ნაწილად გაიყო: ერთი ნაწილი რკინისა და მანდარინის გზებს მისდევს, მეორე ნაწილმა კი გენ. კუროკის უფროსობით ჩანტუფუდან რკინის გზას მარჯვნივ გადაუხვია და გირინისკენ მიეჩქარება. რუსებმა ამ რაზმის მოძრაობისა არაფერი იციან. უცხოელები კი ამტკიცებენ, გენ. კუროკი გირინს მიუახლოვდაო. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ დღეს-ხვალ გირინი გენ. კუროკის მოულოდნელად ხელში ჩაუვარდეს. როგორც ეტყობა, ამას რუსებიცა ჰგრძნობენ: გირინიდან ქალები, ბავშვები და სხვა მცხოვრებნი უკვე გაქცეულან. მაღაზიები დაკეტილია; რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილებაც ხარბინში გადაიტანეს. გირინის აღებას, შეიძლება, რუსებისთვის უბედური შედეგი მოჰყვეს. გირინიდან რკინის გზამდე ცოტა გზაა. თუ იაპონელებმა ეს გზა ჩაიგდეს ხელში, ვლადივოსტოკს ხარბინს მოაშორებენ და მთელს ქვეყანას მოსწყვეტენ. ვლადივოსტოკი ერთი წელიწადია იაპონელთა დასახვედრად ემზადება. ქალაქში სამხედრო წესებია შემოღებ[illegible] დროს თქვენში მეტის-მეტი არა [illegible] ამბები ხდება; ძალიან არევ-დარევით ყველაფერი,—ეს მკვლელობა, ეს ძარცვა-გლეჯა და ათასი უწესობანი. რა არის მიზეზი ასეთის უჩვეულო მოძრაობისა? ამაზედ ხმ. ბერიძემ შემდეგი უპასუხა: „ჩვენში ისეთი არაფერი ხდება და არც მომხდარა, რაიცა სხვაგან არ იყოს. წაიკითხეთ მარტო გაზეთები და დარწმუნდებით, რომ სხვაგან უარესებიც ხდება; მაგალითად, გურიაში შემთხვევა არ ყოფილა, რომ ხუთასი და ათასი კაცი დასცემოდეს რომელსამე მემამულეს, ან სხვას და წაერთმიოს ყველაფერი, რაიცა რუსეთში ხშირი მოვლენაა. რუსეთის ხალხი გაჭირვებულია და ღელავს, ისე ვით ჩვენც... თქვენზე წინადაც ყოფილან აქ მთავრობის წარმომადგენლები, რომელთაც მივმართეთ თხოვნით და ავუხსენით ჩვენი გაჭირვება, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქციეს, ახლა კი ჯარები ჩაგვიყენეს; კვლავ გარწმუნებთ, რომ აქ ისეთი არაფერი არ არის, რაც არ იყოს მთელ რუსეთში“... აქ გუბერნატორმა შენიშნა: „როგორ თუ არ არის, როცა კაცს ქუჩაში ჰკლავენო“.

—ჩვენ „დასჯნიკად“ ვერ დავდგებით, რომ კაცის მკვლელებსა ვსდიოთ. ყველას რად გვედება ბრალი? განა სხვაგან კი არ არის ავი კაცი? უპასუხა ხმოსანმა. შემდეგ ილაპარაკა დ. ცეცხლაძემ, რომელმაც ბ-ნ გუბერნატორს განუმარტა პირველი მიზეზი გლეხთა მოძრაობისა და მოიხსენია 1901—1902 წ.წ. ჭირნახულის მოუსავლიანობა, რამაც ხალხი უკიდურესს გაჭირვებაში ჩააგდო და რასაც გლეხების მემამულეთა წინააღმდეგ გაფიცვა მოჰყვა. მოიხსენია აგრეთვე, ის თუ როგორ შევიწროებასაც აყენებდნენ მებატონეები გლეხებს, და ბოლოს სთქვა: „თუმცა ზოგიერთ მემამულეთ უნდოდათ ნაკლებ საიჯარო ქირით მიეცათ მიწა გლეხებისათვის, მაგრამ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ არ დაანება და ამითი საქმე უფრო გაამწვავაო. ზოგიერთ მემამულეთ, რომელთაც უნდოდათ განცხადება დაებეჭდათ და სოფლებში გაეკრათ „საიჯაროდ რამდენიმეს ვუკლებ ჩემს მიწებზე და, ვისაც გინდათ, აიღეთო“, ასეთი განცხადების დაბეჭდვის ნება არ დართო ადმინისტრაციამო“... აქ მაზრის უფროსმა შენიშნა—მართალი არ არისო!..

ბოლოს ბ. გუბერნატორმა წინადადება მისცა ყველა აქ მყოფთ: „რაც იყო-იყო, ხოლო ამას შემდეგ მშვიდობიანად იყავით, დაწყნარდით, იმას რას უყურებთ, რასაც გაზეთები სწერენ, დაივიწყეთ ყველაფერი, თუ გინდათ სასტიკი ზომები აიცილოთო აქ, გიტოვებთ გენ. ალიხანოვს და, რაც დაგჭირდეთ იმას მიმართეთ და ყველაფერში შეწევას აღმოგიჩენთო. ამდენისამე ხნის შემდეგ აქ ჩამოვა კავკასიის ნამესტრ

დივოსტოკში რკინის გზით გაცხარებით ეზიდებიან სურსათ-სანოვაგესა და ყოველგვარ სამხედრო მასალას. ამ მხრივ ვლადივოსტოკი ცუდ დღეში ჩავარდა: იაპონელებმა ზღვა შეუკრეს, ქალაქში ერთ გემს აღარ უშვებენ და რუსებიც ჩქარობენ,—სანამ გზა არ მოგვიჭრეს, ქალაქი სურსათით გავავსოთო. ციხის ფორტებზედაც გაცხარებული მუშაობაა (ნ.).

ვლადივოსტოკი და ხარბინი. „ინდეპ. ბელ“.-ე მომავალ ბრძოლის შესახებ სწერს: ამ ჟამად იაპონელები შორეულ აღმოსავლეთის ბატონები არიან. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ რუსები, 6 თვის განმავლობაში მაინც, ოიამას ჯარის სურვილს წინ ვერ გადაუდგებიან და ამიტომ ისე მოიქცევიან, როგორც უნდათ. მაგრამ იაპონელები გაბედულსა და ფართო გეგმასაც ვერ შეადგენენ, რადგან შორს, ჩრდილოეთისკენ წასვლა და თავიანთის ბაზის დაშორება, ცოტა არ იყოს, სახიფათოც არის. იაპონელები, უეჭველია, ხარბინისკენაც წავლენ, მაგრამ იმათი ჯარის გული, ჯერ-ჯერობით მაინც, სანამ ვლადივოსტოკს აიღებენ, მუკდენი იქნება. ამიტომ მართალი უნდა იყოს ის ცნობა, ვითომ გენ. კუროკი გირინის აღებასა და ნინგუტისკენ წასვლას აპირობდეს. ამ ქალაქიდან რკინის გზამდე ასვლა და ვლადივოსტოკის მოჭრა ძალიან ადვილია. გირინის აღების შემდეგ იაპონელები კენგ-შენიდან ჩრდილოეთისკენ ჯარს გაჰგზავნიან და ვლადივოსტოკს ალყას შემოარტყმენ. ბრძოლის ველის გაფართოვება, რასაკვირველია, საქმეს გახლართავს და გაართულებს, მაგრამ ამას არც ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ, რადგან იაპონელებს მრავალი გზა აქვთ და ზღვაც იმათ ხელშია. ყველაფრიდანა სჩანს, რომ ამ ცოტა ხანში ბრძოლის ველს იაპონელები ვლადივოსტოკის ფორტებთან გადაიტანენ, მაგრამ, საქმეც იმაშია, როგორ არის გამაგრებული ვლადივოსტოკი, პორტ-არტურზე კარგად თ. უ. არა რუსებ რომ ჰკითხოთ, ვლადივოსტოკი პორტ-არტურზე ძლიერ არის გამაგრებულიო, მაგრამ... ვინ იცის, ენახოთ! რაც უნდა იყოს, რუსებს ვლადივოსტოკი ამ ერთი წლის განმავლობაში პორტ-არტურზე ძლიერ რომ არ გაემაგრებინათ, უდიდეს შეცდომასა და დანაშაულს ჩაიდენდნენ, რაიცა რუსეთის ბიუროკრატიისთვის არა ახალია,—ძველი (ნ.).

ზავი. ამბობენ, ევროპა და ამერიკა იაპონიისა და რუსეთის შერიგებას აპირობენო. ამის შესახებ ბელგიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციალური გაზეთი „ინდ. ბელჟ.“ სწერს: იაპონიას სრული უფლება აქვს უარჰყოს და არ მიიღოს ევროპის სახელმწიფოთა წინადადება ზავის ჩამოგდების შესახებ. ყველა სახელმწიფო 15 თვის განმავლობაში მტკიცე ნეიტრალიტეტს იცავდა, ამიტომ ეს სახელმწიფოები არც ახლა უნდა ჩაერივნენ საქმეში და იაპონიას გამარჯვების ნაყოფის მოკრება არ უნდა დაუშალონ. შეიძლება იაპონიამ არც იმდენი მოსთხოვოს რუსეთს, რამდენსაც ეხლა თხოულობს. იაპონია თვითონ იბრძოდა და ომსაც თვითონვე შეაჩერებს და ზავის პირობებსაც თვითონვე შეიმუშავებს (ბ. ი.).

საზღვარ-გარედ ხმა [illegible] უკვე შეიმუშავა ზავის პირობები და ამ ცოტა ხანში რომელსამე სახელმწიფოს გადასცემსო (ნ).

[illegible] იყოს. როგორც სახალხო უფასო სამკითხველო, ამას უფრო ხელ-მოკლე ხალხი ეტანება და, თუ ჩვენი მკითხველები ოდეკოლონებს არა ხმარობენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ მართლაც ისეთი სუნი იდგეს, რომ კაცის გაჩერება შეუძლებელი იყოს. ალბად ძალიან დიდი კაცი უნდა იყოს ჩვენი სამკითხველოს ოთახის დამწუნებელი!...

გაზეთების ხევას თქვენთან ერთად მეც ვუსაყვედურებ მკითხველებს და ეს მოვლენა არც ჩემი უყურადღებობის ბრალია. უნდა მოგახსენოთ, რომ წიგნთ-საცავი ერთ ოთახშია მოთავსებული და გაზეთების საკითხავი კი მეორეში, ხოლო ერთსა და იმავე დროს ორ ადგილას ყოფნა შეუძლებელია. ან რა დრო სჭირია გაზეთის ხევასა და ჯიბეში ჩადებას. ვსთხოვ პატივცემულ მკითხველებს, გაზეთებს სიფთხილით მოეკიდნენ და უსამართლო საყვედურები თავიდან ამაცილონ.

დასასრულ, ვსთხოვ ყველას, ვისაც კი მართლა გული შესტკივა სამკითხველოსთვის და არა მარტო ავტორობის სურვილი აქვს—ქონებრივად ხელი შეუწყოს სამკითხველოს გამდიდრებას, თორემ ცუდიერი სიტყვებით გამოლაშქრება არავის სარგებლობას არ მოუტანს. უსარგებლოა აგრეთვე ის რჩევა, რომ „წიგნების კითხვის ფასი შაურიდან ხუთ შაურად გვეხადოთ“, ეს ჩვენი მოვალეობაა. არ შეიძლება გავუდეს წიგნ-გაზეთების კითხვის ფასი, რომ ხალხს მეტი საშუალება ექმნეს გონებრივ საზრდოს მიღებისა. სამკითხველოს გამგე:

ილია დარახველიძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

22 მარტი.

ჯიბუტი, 21 მარტი. ნებოგატოვის ესკადრა ჯიბუტთან გაჩერდა.

გუნჭულინი, 21 მარტი. გუშინ, საღამოს 10 საათზე, მოვიდნენ მუკდენში მომწყვდეული ექიმები, ზედამხედველი, კორესპონდენტი მაშკევიჩი და სხვები. მეტად აქებენ სათნოების დათა მოქმედებას. ზოგი მათგანი ნებაყოფლობით დარჩენილან მუკდენში, დაჭრილები ხელში აყვანილი გამოჰყავდა, რუსი თუ იაპონელები, როდესაც ჩინელებმა საავადმყოფოსა და სხვა შენობებს ცეცხლი მისცეს და იაპონელების ყუმბარები სკდებოდა.—იაპონელები ფრთხილად შედიოდნენ მუკდენში. იმათ ბარგი ჩინელების ეტლებით მოდიოდა. ჩინელი სანიტარებიც იყვნენ, „რომ გეთ, რომ ზემოხსენებული ხმა ტყუილიაო.

„ბერლ. ლოკ. ანც.“-ის კორესპონდენტს პეტერბურგში ზავის შესახებ ერთ ბობოლა ბიუროკრატთან უსაუბრნია. ბიუროკრატს უთქვამს: ეხლა როგორი ზავიც უნდა იყოს, რუსეთს შეარცხვენს. მომავალ კვირას ჩვენ დაწვრილებით გავიგებთ, მუკდენის ბრძოლის შედეგს და შევიტყობთ, რამდენი ჯარი და რა ძალა დაგვრჩენია ამჟამად შორეულ აღმოსავლეთში. როცა ამას გავიგებთ, იმასაც გადავწყვეტთ, რა უფრო სასარგებლო იქნება ჩვენთვის, ომის გაგრძელება თუ დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდება. მაგრამ რუსეთი არას დროს არ მიიღებს იაპონიის მიერ შემუშავებულ პირობებს. რუსეთი იაპონიას 1,500 მილიონ მანათს არ გადაუხდის. არც მთლად სახალინს დავუთმობთ და არც დიდ ოკეანეში ფლოტის შენახვაზე ვიტყვით უარს. კონტრიბუციის შესახებ ლაპარაკიც არა ღირს. თუ ძალიან გაჭირდა, მივცემთ, მაგრამ იმდენს კი არა, რამდენსაც იაპონია თხოულობს. რუსეთს უცხოელებისა უკვე 12 მილიარდი მართებს. რუსეთი უარს არ იტყვის ზავზე, მაგრამ ისეთი პირობები კი უნდა იყოს, რომ რუსეთი დამარცხებული და შერცხვენილი არ დარჩეს. მაგალითად: მანჯურიასა და კორეაზე უარს ვიტყვით და სახალინის ნაწილსაც დავუთმობთ. თუ იაპონია ამ პირობებზე დასთანხმდა, ზავს ორიოდე კვირის შემდეგ ჩამოვაგდებთ (რ. ს.).

ტოკიოდან „დეილი ტელეგ.“-ს ატყობინებენ: იაპონელები ამბობენ, სულ გავწყდებით და რუსეთს კი უკონტრიბუციოთ არ შევურიგდებითო. ეხლა 1 მილიარდ მანათს ვთხოულობთ, თუ რუსეთი გაჯიუტდა, ვლადივოსტოკსაც ავიღებთ, სახალინსაც წავართმევთ, კამჩატკასაც, პრიამურის ოლქსაც, მანჯურიიდანაც გავაძევებთ, კორეიდანაც და 2 მილიარდ მანათსაც მოვითხოვთ. (რ. ს.).

რა იქნა რუსეთის ჯარი? ამას წინად რუსეთის ოფიციალურმა სამხედრო გაზეთმა „ინვალიდ“-მა გამოაცხადა, რუსეთმა ომის დასაწყისიდან თებერვლის გასვლამდე მანჯურიაში 13,087 აფიცერი და 761,467 სალდათი ჩააყენათო. ამ რიცხვის მიხედვით, «ტაიმს“-ი და ,,ნიუ-იორკ ჰერალდ‘‘-ი ანგარიშობენ და ამბობენ: 13 თვის განმავლობაში რუსეთმა მანჯურიაში 832 ათას კაცს მოუყარა თავიო. ეხლა გენ. ლინევიჩს 300 ათასამდე სალდათი ჰყავს. დანარჩენი ნახევარი მილიონი რაღა იქნა?—კითხულობენ გაზეთები,—და ამბობენ: კუროპატკინის მოხსენებისთვის რომ დავუჯეროთ, 13 თვის განმავლობაში რუსეთს 200 ათასამდე სალდათი დააკლდა, ეხლა კი ცხადათ მტკიცდება, რომ ამ ხნის განმავლობაში გენ. კუროპატკინს ნახევარ მილიონზე მეტი დაჰკლებია. ისტორიაში ასეთ უშველებელ ზარალის მაგალითი არა ყოფილა. (რ. ს.).

,,რუს. ვედ,‘‘-ის სამხედრო მიმომხილველის ს. კ.-ს ანგარიშითაც გამოდის, რომ 13 თვეში რუსეთის ჯარს ნახევარ მილიონზე მეტი დააკლდა. ს, კ. სწერს: გენ. კუროპატკინი იმ თავითვე თხოულობდა, 250 ათასი კაცი მომეცით და იაპონელებს ტოკიოში მოვაწერინებ ხელს ზავის ქაღალდზეო. რუსეთმა 250 ათასის მაგივრად 800 [illegible] მაგრამ კუროპატკინმა ცხადათ [illegible] ეხლა კი [illegible] ხებს, ხოლო სადონაში გენერალ-ინსპექტორმა შეაჩერა, რადგან ჯგუფურის გადასახლება არ შეიძლებაო. მთავარ-ვეზირის ინსტრუქციას მოელიან. რადგან მაკედონიაში მკვლელობა გახშირდა, ნაბრძანებია, განსაკუთრებული სასამართლო დაარსდეს, რომელსაც პოლიტიკურ დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის უფლებაც ექნება.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში ლორდ ჩერჩილმა პროტესტი განაცხადა სამხედრო ბიუჯეტის სიდიდისა გამო და სთქვა: ინდოეთს ეხლა არაფრის შიში აღარა აქვსო. ედვარდ გრეიმ სთქვა, რუსეთ-იაპონიის ომი დიდის ხნით აანთავისუფლებს ინდოეთს რუსეთის პოლიტიკის ზეგავლენისაგანო. დილკე რუსეთის შესვლა ინდოეთში ავღანისტანით შესაძლოდ არ მიაჩნია. ევანს გორდონმა სთქვა, რუსეთის შესვლა ინდოეთში მხოლოდ ოცნება არ არისო. რუსეთს დიდი ძალა დაადგა მანჯურიაში და ინდოეთისთვის მაგდენი როდი დასჭირდებაო.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № (3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5

პირიქით, რუსები ყოველთვის გაცილებით მეტნი იყვნენ, მაგრამ მაინც მარცხდებოდნენ (რ. ვ.).

გენ. კოდამა. მარშალ ოიამას მთავარ-შტაბის უფროსს გენ. ლეიტ. კოდამას მთელი ქვეყანა იაპონელ მოლტკეს ეძახის. გენ. კოდამა ღარიბ სამურაის (აზნაურის) შვილია. პატარაობისას სწავლა არ მიუღია, მაგრამ თავის შრომითა და მხნეობით 52 წლის კოდამამ შტაბის უფროსობას მიაღწია. იმ დროს, როცა სხვა შტაბების უფროსები და სარდლები ან ისვენებდნენ, ან ჯარს ათვალიერებდნენ და სწვრთნიდნენ, ჯენტანო კოდამა სულ ერთს ფიქრობდა: როგორ დავამარცხო რუსები, საიდან მოვუარო, სად მოვატყუო და როგორ გავაბა მახეში. მარშალი ოიამა სუყოველთვის კოდამას გეგმის თანახმად მოქმედებდა. თვით გენ. ნოგიც თავისუფლად არ იქცეოდა პორტ-არტურის აღების დროს და ყოველ ნაბიჯს გენ. კოდამას გეგმის თანახმად სდგამდა (ბ. ი.).

ახალი ამბავი

სოფელ ცხინვალში (გორის მაზრა) **ადგილობრივ მკვიდრთა მოთხოვნით** მომრიგებელ სასამართლოს განყოფილების გამგეს **ანდრეევს** სასამართლო დაუკეტია და ტფილისს წამოსულა. საქმის გამოსაძიებლად ტფილისიდან ცხინვალს გაემგზავრა ტფ. ოლქის სასამართლოს წევრი ა. ვ. მოსკალევი (კავკ.).

✦ როგორც გავიგეთ, **ბორჩალოს მაზრაშიაც** დაწყებულა **გლეხთა მოძრაობა**.

✦ **ს. ქარელიდან** გვწერენ: კვირას, 20 მარტს, აქ იყო კრება გლეხებისა. დილის ათ საათზე დაიწყო ხალხმა დენა ახლო-მახლო სოფლებიდან; სულ ორი-სამი ათასი კაცი იქნებოდა. ხალხი შეიკრიბა ს. ქარელის ბოლოში, მინდორზე, და აქ გადასწყვიტა მოითხოვოს, რომ ნადელები გლეხებს უსასყიდლოდ მიეცეთ; ვისაც გამოსყიდული აქვს, იმათ ფული უკანვე დაუბრუნდეთ. 2) სახაზინო და საეკლესიო მამულები ადგილობრივ მკვიდრ გლეხებს გაეყოთ. 3) სწავლა იყოს უფასო 16 წლამდის. 4) პიროვნების ხელშეუხებლობა. 5) თავისუფლება სიტყვისა, წერისა და კრებებისა 6) საპოლიციო მოწმობების (პასპორტების) მოსპობა. 7) მღვდლების მთავრობისაგან ჯამაგირით დაკმაყოფილება. 8) მამასახლისების არჩევა ხალხის-მიერ და სხვა.

✦ **ივრის ხეობიდან** (გარე-კახეთი). ამბავი მოვიდა: კვირასა და ორშაბათს, 20—21 მარტს, სოფ. ნინოწმინდის მახლობლად **შეიკრიბა მახლობელ სოფლის გლეხობა**, დიდი და პატარა, კაცი და ქალი. სხვადასხვა სოფლის გლეხები ბაირაღებით მოვიდნენ ყრილობაზე. ილაპარაკეს საჭირ-ბოროტო კითხვების შესახებ, ერთმანეთს ერთობა და ძმობა შეჰფიცეს და თავიანთი მოთხოვნილებანი წარადგინეს ეს. მათი მოთხოვნილებანიც საერთო-საზოგადოა. მამასახლისები არა სჩანდნენ. ს. ხაშმის ეხლანდელი მამასახლისი და ნამამასახლისარი ქალაქს გაიქცნენ; ამ უკანასკნელს წინანდელი „ნედოიმკების“ შეჭმა ჰბრალდება. ტყის მცველები გაიპარნენ. ხალხი ერთის გრძნობითაა აღფრთოვანებული და უკეთესის მომავლის მოლოდინშია.

✦ **ფოთიდან** გვწერენ: კვირას, 20 მარტს აქ

4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	385½
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	305 „
5% გირ.-მომ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	270 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	— „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. სახ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	216½

განცხადებანი

რუსული წიგნები ი. გოგებაშვილისა.

1. **Государственный языкъ** въ грузинскихъ начальныхъ школахъ, პასუხად ბ. ოდოევსა. ფასი ექვსი შაური.
2. **Какъ поднять** Кавказскую народ. школу? ფასი ექვსი შაური.
3. **Къ вопросу** о мингрельской начальной школѣ. ფასი ერთი აბაზი.
4. **Правда о Тифлисѣ**, მეორე ბევრად შევსებული გამოცემა. ფასი ერთი აბაზი.

(3—ნ.—5)

„წერა-კით. საზოგადოების“ კანცელარიაში
(სასახლის ქ., თავ.-აზნაურობის ქარვასლა)
იყიდება
რონინაშვილისეულის ფოტოგრაფიის ავეჯეულობა
დივანი, სავარძლები, სარკეები, ტრიუმო, კამოდი, სტოლები, სკამები და სხვ.
ნახვა შეიძლება დილის 10—2 ს. და საღამოს 5—8 ს.

ახლად გასნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 22 марта 1905 г
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.

ყველა ადგილობრივი დაწესებულებანი. საუზმედ და სადილად ბ-ნი გუბერნატორი ქალაქის თავთან ბ-ნ. ნიკოლაძესთან იყო მოწვეული. იქვე მიწვეულნი იყვნენ ყველა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. საღამოს 8 საათზე თავადი ქუთაისისკენ გაემგზავრა.

✦ ტფილისში **გაფიცული ნოქრები**, რომელთა რიცხვი 12 ათას კაცს აღემატება, **გუშინ ქალაქის მოურავთან იყვნენ** და სთხოვეს, რადგან მაღაზიის პატრონები ზოგიერთ ჩვენს მოთხოვნილებას არ იღებენ, გვიშუამდგომლეთ მთავრობასთან, შეკრების ნება მოგვცესო. ქალაქის მოურავმა უპასუხა, გუშინ მთავრობას თქვენი თხოვნა წარვუდგინე და თქვენ შეკრებაზე უარი მითხრესო. ის-ღა დაგრჩენიათ, რომ სხვა და სხვა დარგის ნოქრებმა თქვენი დეპუტატები ამოირჩიოთ და აღებს იმათ პირით მოელაპარაკოთო.

✦ „ცნობის ფურცელს“ **თელავიდან დეპეშით ატყობინებენ**: „22 მარტი. დღეს საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეებმა თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს სასწავლებლის მთავრობას. შემდეგ სიმღერით გაემართნენ წმ. ნინოს დედათა სასწავლებლისაკენ. შევიდნენ სასოფლო სასწავლებელში, აქაც წარადგინეს მოთხოვნილებანი და ყველანი ერთად გაემართნენ სამრევლო-საეკლესიო სკოლისაკენ. მოსწავლეებს დიდ-ძალი ხალხი მისდევდა. შემოუარეს ბაზარს. ბევრი სიტყვა წარმოითქვა. გაიფიცნენ აქაური ქარგლებიც.

ტფილისის პარიკმახერების ქარგლებმა ამქრის უსტაბაშს თავიანთი **მოთხოვნილებები წარუდგინეს. ქარგლები თხოულობენ**: 1, შემცირდეს სამუშაო დრო; ზაფხულობით მუშაობა იწყებოდეს დილის 7 საათიდან თავდებოდეს საღამოს 9 საათზე, ზამთრობით—დილის 8 სათიდან საღამოს 8 საათამდე; 2, მოუმატოს ჯამაგირები; 3, დაწესდეს ნიხრი წვერის გაპარსვისა და თავის გაკრეჭისა; მეტი საჩუქარი ნოქარს ეკუთვნოდეს; ამქრის უსტაბაშს განუზრახავს მოიწვიოს სადალაქო პატრონები მოსალაპარაკებლად. კრება მომავალ ორშაბათს არის დანიშნული.

✦ გუშინ „მშაკის“ რედაქციამ პეტერბურგიდან მიიღო შემდეგი **დეპეშა სომეხთა დელეგატებისაგან**: „დღეს წარვუდექით ნამესტნიკს. ერთობ კარგად მიგვიღო. 12 ივნისის დებულება განხილულ იქმნება; გაძევებული სასულიერო პირნი, რამდენადაც შესაძლებელია, დაბრუნებულ იქმნებიან. სასკოლო საკითხი მოწესრიგდება“.

✦ **თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის მოხელეებსაც წარუდგენიათ** ბანკის გამგეობისთვის **თავიანთი მოთხოვნილება**; ბანკის გამგეობას გამოუცხადებია: ვინც ამ მოთხოვნილებებს ხელს აწერს, **თუ სურს, სამსახურს თავი დაანებოსო.**

✦ დღეს, 24 მარტისთვის, 12 საათზე დანიშნულია ქ. გორში გორის ქალთა პროგიმნაზიის მოწაფეთა მშობლების კრება გორში მომხდარ **არეულობის** შეწყვეტილ სწავლის ხელახლად დაწყების შესახებ.

✦ გუშინ, დილის 10 საათზე, ტფილისის საკომერციო სასწავლებლის ორასამდე მოწაფე სასწავლებელში მოგროვდა. აქედან ვორონცოვის ძეგლისკენ სიმღერით გამოემართნენ. **პოლიციის მოხელეებმა და ყაზახებმა მოწაფეები** დაჰფანტეს.

✦ ტფილისის **ტეხნიკურ სასწავლებლის დირექტორს დეპეშა მოსვლია**, ის მოწაფეები, „რომლებმაც უარი განაცხადეს სწავლის განგრძობაზე, დათხოვნილ იქმნან სასწავლებლიდანაო.

✦ ორშაბათს, 21 ამ თვეს, **ტფილისის სახელოსნო სკოლაში** სწავლა უნდა დაწყებულიყო. დანიშნულ დღეს 157 მოწაფემ მოიყარა თავი. ბევრს მათგანს მშობლებიც თან მოეყვანა; სასწავლებლის დირექტორმა მოწაფეებს მიმართა სიტყვით და განუმარტა, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს სწავლის შეწყვეტას. მოწაფეებმა კვლავ აღნიშნეს ის გარემოებანი, რის გამოც იძულებულნი იყვნენ სწავლისათვის თავი დაენებებინათ. მოწაფეთა შორის სწავლის დაწყების საკითხს კენჭი უყარეს და 157 მოწაფეში 100 კაცი სწავლის დაწყების წინააღმდეგი აღმოჩნდა.

✦ ტფილისის ქართველ სამღვდელოებას **საერთო თხოვნით** მიუმართავს ექსარხოსისთვის, ნება მოგვეცით **მთელის საექსარხოსოს კრება** მოვიწვიოთ ჩვენს **საჭირ-ბოროტო კითხვებზე** მოსალაპარაკებლადაო.

✦ ალავერდის **ეპისკოპოსი ექვთიმე გორის** ეპისკოპოსის თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარადგინეს. როგორც ხმა ისმის, **ალავერდის ეპისკოპოსად** ჰსურთ წარადგინონ ტფილის სასულიერო სემინარიის რექტორი **ნიკანდრი.**

✦ ნაფიც ვექილთა კრებაზე არჩეულმა დეპუტატებმა—ნაფიცმა ვექილებმა: **ჩემესოვმა და მელიქ-ადამოვმა პეტერბურგში წასვლაზე უარი განაცხადეს.** სამშაბათს, 22 მარტს, ნაფიცი ვექილები მეორედ შეიკრიბნენ და იმათ მაგიერად აირჩიეს ნაფიცი **ვექილი ი. ბარათაშვილი.** წინად არჩეული დეპუტატები უკვე გაემგზავრნენ პეტერბურგს. თავ. ბარათაშვილი კი დღეს მიდის.

✦ **განჯიდან** გვატყობინებენ: 19 მარტს რკინის გზის თეატრში **ვლ. ალ.-მესხიშვილის** მეთაურობით გაიმართა ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნა **,,კაი გრაკხი''**, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. პიესას აღტაცებით მიეგებნენ. მეორე დღეს, კვირას, 20 მარტს, წარმოადგინეს ,,ცხოვრების გარეშე'', მაგრამ ხალხი ნაკლებად დაესწრო. ორივე წარმოდგენით ხალხი ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

✦ ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთა ერთის ჯგუფის **თაოსნობით** ტფილისში დაარსდა **ისეთი საზოგადოება**, რომელმაც დახმარება უნდა აღმოუჩინოს გარდაცვალებულის წევრის ჭირისუფლებს. ამ საზოგადოებას ორშაბათს, 21 მარტს, ვეტცელის თეატრში პირველი კრება ჰქონდა. კრებას 70 კაცზე მეტი დაესწრო. კრებამ მიიღო წესდების პროექტი, რომელიც გადმოღებულია ბათუმისა, ხარკოვისა და ბელოსტოკის მსგავს წესდებებისაგან და მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინა. დასახლევი პრემია 250 მანათიდან 5,000 მანათამდე იქნება. შესატანი გადასახადი 4—20 მანათამდე.

✦ 22 მარტს, ნაშუადღევის ორ საათზე, ბაქოში **განუზრახავთ ბოქაულის მამედბეგოვის მოკვლა** და დაუჭრიათ მხოლოდ თათარი-პოლიციელი; ხალხი დასდევნებია ოთხ სომეხს, რომელნიც თოფებს ისროდნენ; ერთი მათგანი მოუკლავთ, მეორე დაუჭრიათ და ორი შეუპყრიათ; ხალხი შიშმა მოიცვა; მაღაზიები დაკეტილია; ქალაქიდან ისევ გარბიან (ტ. ლ.).

✦ ქალაქ შუშის ხმოსანთა კერძო კრებამ დაადგინა, იშუამდგომლონ, რომ შუშის ქალაქის თვით-მმართველობის წარმომადგენელთაც **მიიღონ მონაწილეობა ბულიგინის კომისიაში** (მშაკი).

✦ ფოთის ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა **ცხენის რკინის გზის ლიანდაგის დაგებას.** ორი-სამი თვის შემდეგ მოძრაობა დაიწყება.

✦ სომეხთა ეპისკოპოსმა სათუნიანცმა სტამბოლის სომეხთა პატრიარქისაგან **ბაქოში დაზარალებულთა სასარგებლოდ** მიიღო 1712 მანათი (მშაკი).

✦ ფრეილინის ქუჩაზე მცხოვრებმა ალ. შადინოვმა პოლიციაში განაცხადა: ჩემ შინ არ ყოფნის დროს ვიღაცაც ჩემი სადგომი ოთახის კარები გაუტეხია და სამასი თუმნის ღირებული ნივთები წაუღიაო. ეჭვი მიიტანეს შადინოვის მოსამსახურე ბარბარე პოკროვენკოზე, სადგომის გაჩხრეკის დროს პოკროვენკოს 600 მანათის ვერცხლეულობა აღმოაჩნდა, რომელიც შარშან მე-16 გრენადერის მინგრელსკის პოლკის პორუჩიკმა ალ. იაკოვლევმა დაჰკარგა. ვერცხლეულობა ბ-ნ იაკოვლევს გადასცეს. შადინოვის გაძარცვაში პოკროვენკო არ გამოტყდა.

✦ სამტრედიაში, 22 მარტს. ღამე ვიღაცაც რკინის გზის დეპოს კონტორა გაუტეხია და კასიდან 133 მან. და 27 კ. წაუღია.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელს ნომერში (№ 35), რედაქციის მიმართ წერილის „ქუთაისიდან“ შეცდომით **მოწერილი აქვს**: ილია დარახველიძე, უნდა იყოს: **იულია დარახველიძე.**

ქუთაისის ცხოვრება

კიდევ გაძარცვის ამბები ქუთაისსა და ტყიბულში. თავადი—დღევანდელი ამბების მსხვერპლი.

21 მარტს სასულიერო სასწავლებლის მეთვალყურეს, პარმენ კობახიძეს, რომელსაც სასწავლებლის ზედამხედველი ხაზინიდან მასწავლებლების ჯამაგირების გამოტანას ანდობდა ხოლმე, პოლიციაში განუცხადებია, რომ, რადგან შიშიანობაა—ყარაულები გამატანეთ, ფული უნდა გამოვიტანო ხაზინიდანაო. ამ დროს ერთი დესეტნიკის მეტი არავინ ყოფილა და ხაზინიდან ის გაჰყოლია კობახიძეს წამოუღია 1869 მანათი და ფეხით მიდიოდა არქიელის გორაზე. მიუახლოვდა თუ არა ეპისკოპოზის კანცელარიას, ეტლს თავს დაესხა ექვსი შეიარაღებული კაცი. დააჭირეს კასირს თოფი გულზე და სიტყვის შეუბრუნებლად ფული სულ ამოაღებინეს. იგდეს თუ არა ფული ხელში, ახალგაზდა ყაჩაღები თოფის სროლით დაეშვნენ ძირს, ფერმისკენ და სოფელ ჯიმაშტარისკენ გაუდგნენ გზას. ამ სცენას ბევრი დაესწრო, მაგრამ ხმა ვერავინ ამოიღო სანამ ისინი არ მიიმალნენ. შეიქმნა ყვირილი „ბუნტებია“, „ბუნტებიო“. ამ ამბავზე სასწავლებელში მღვდლებმა კრებას თავი მიანებეს და გარედ გამოცვივდნენ. გორიდან ყველა აშკარად ხედავდა, როგორ არხეინად მიდიოდნენ ყაჩაღები ტყის ფერდობებზე.

⁂

ამასობაში სტრაჟნიკებიც მოცვივდნენ და დაედევნენ გაქცეულთ. სოფელ ჯიმაშტრის ტყეში დაეწივნენ იმათ და ასტყდა ორთავე მხრით დიდი სროლა და სტრაჟნიკებმა, ბოქაულ ჩიჩუას თანადასწრებით, მოკლეს ორი ყაჩაღი, ხოლო ხუთი გაექცათ და ჩავიდნენ რაჭა-ლეჩხუმის შარა გზაზე, ეგრედ წოდებულ, ქვატაფაში და იქ გორაკს მოფარებულებმა გამართეს სროლა. ეს ბრძოლა ადმინისტრაციასა და ყაჩაღებს შორის ნაშუადღევის 4 საათამდე გაგძელდა და ბოლოს, როცა ორი ყაჩაღთაგანი კიდევ სასიკვდილოდ დასჭრეს და იმათ პატრონებიც შემოაკლდათ, დანარჩენი სამიც დანებდა ძალას და შებოჭილი წამოიყვანეს ქალაქში. საღამოს ჟამს ფერმისკენ ამ უცნაურის ამბის გასაგებად აუარებელი ხალხი მიეჩქარებოდა.

გამოირკვა, რომ დღევანდელი ყაჩაღები, ორს გარდა (გოგიტიძე და აჭარელი თათარი), ოთხივე ქუთათური წვრილი ქურდები ყოფილან. ესენია: რევია, ქვარიანი, ლოლობერიძე და კანდელაკი. ამათში თათარი და რევია მოკლეს, ლოლობერიძე და კანდელაკი დაჭრილია, ხოლო გოგიტიძე და ქვარიანი დანებდნენ. ამბობენ, ერთიც გაექცათო. დაჭერილთ ფული მხოლოდ 200 მ. აღმოაჩნდათ.

⁂

დღეს, 21 მარტს, ტყიბულიდან ჩამოიყვანეს, სამი ტყვიით დაჭრილი ყარაული პაპიევი (სომეხია). დღეს, დილას, ტყიბულის სადგურიდან „ნახშირის“ საზოგადოების კასირს კანტორაში 7,000 მან. მიჰქონდა, დასცემიან მას ყაჩაღები და თუმცა, შეიარაღებულ მხლებელ ყარაულს მათთვის წინააღმდეგობა გაუწევია, მაგრამ იმათ პაპიევი იქვე დაუწვენიათ ტყვიებით, ეს ფული წაურთმევიათ კასირისათვის და არხეინად წასულან და ჯერაც მათი გზა-კვალი არ იციან. დაჭრილი პაპიევი თოფურიასეულ საავადმყოფოში წევს. ჭრილობა საშიშია.

⁂

ამ დღეებში აქ ჩამოვიდა თავად-აზნაურთა კრებებზე დასასწრებლად რაჭის მაზრის წინამძღოლი თ-დი დიმიტრი ყიფიანი, დღევანდელ მოძრაობას რაჭაშიაც უჩენია თავი. იქაც შემოუვლია „ახალთაობას“, როგორც დღეს იმერეთში ამ მოძრაობის მიმდევართ ეძახიან. აი ამ მოძრაობას გაუტაცნია თავადი წინამძღოლი, უარი უთქვამს ყოველსავე თავის ქონებაზე, გადაუცია იგი გლეხებისათვის და საბუთებიც დაუხევიათ.

ის.—არიძე.

სადღეისო

შენ იცინოდი!

თითქო მეძინა... აღარ მახსოვს... გონს ვერ მოვსულვარ... ბუნდოვან ფიქრებს ველარ ვართმევ თავსა და ბოლოს... მხოლოდ ეს მახსოვს: საშინელი წყვდიადი იყო და ზურგზე ვგრძნობდი რაღაც ტვირთსა, რაღაც სიმძიმეს... მსურდა ამელო თავი მაღლა, თვალთ გამეხილა... მაგრამ ამაოდ..

მხოლოდ ყურებში ჩამესმოდა, ხანგამოშვებით, რაღაც შხუილი, სტვენა, გმინვა ქარიშხალისა... ტბილი ზუზუნი გაზაფხულის დილის ნიავის საამო ჰანგად გამოკრთოდა ამ ხმებიდამ... გული მიცემდა... მეცა ვგრძნობდი სიცოცხლის ძალას, მაგრამ ამ წამებს მიშხამავდა ტბილ ჰანგთან ერთად შეერთებული გესლნარევი რაღაც... სიცილი...

გამომეღვიძა. მიმოვიხედე ჩემს გარშემო და დაგინახე.

...შენ იცინოდი...

—

გავიდნენ დრონი... სხვა დრო დადგა და სულ სხვა ჟამი...

ცხოვრების წესი შეიცვალა ყოველ არსისთვის.

მხეცმა, პირუტყვმა, ფრინველმაც კი ბინა მოსძებნეს... ყველას მიეზღო თავის ხვედრი, ღვთით ნაბოძები ..

მხოლოდ მე დავრჩი გარიყული... უსახლ-უკარო... დედამიწა [illegible] კი [illegible]. მაგრამ შენ მფლობდი...

და რომ შეგკითხე, მითხარ-მეთქი, რად არის ასე?..

...შენ გაიცინე...

—

მწარედ დავფიქრდი... მაგრამ სულით არ დავცემულვარ...

ხელი მივჰყავი მუშაობას... შრომას და ჯაფას...

ასე მეგონა—მხოლოდ შრომით გამუდმებულით მეც ერთ დროს შენებრ გულიანად გავიცინებდი.

დრო მიდიოდა... და ამ შრომით წელში მოხრილსა აღარ მეცალა შემეხედნა ზეცისთვის ერთხელ... მწარედ ტანჯულსა, შრომისაგან წელმოწყვეტილსა შუბლიდგან ოფლი სისხლ-ნარევი გადმომდიოდა... შენც იქვე იდექ, ეშმაკურად გეცინებოდა.

როს მოგიბრუნდი სახე ლაღსა, გულით მხიარულს, და დაგეკითხე, თუ რად ხდება ეს ასემეთქი?..

...შენ გაიცინე!..

წელში გამწყვიტა მეტმა შრომამ, სრულად მომქანცა... გარედ ვიყავი—დარდი მკლავდა, შინ—უარესი... შიშველ-მშიერი უკან მდევდა ჩემი ცოლ-შვილი და მომძახოდა:

,,მამავ, მშიანო''..

შენ კი იჯექი ფეხმოთრხმული მდიდრულ პალატში და... ხარხარებდი...

გული მიკვნესდა, როს ვხედავდი ჩემის ნაშრომით, შენს მონადირე ნაგაზებსა ვით ასუქებდი... მაშინ, როდესაც საცოდავი ჩემიანები მშიერ-შიშველნი ცახცახებდნენ, თრთოდნენ, კვნესოდნენ...

და როცა გკითხე: რად ჩადიხარ უსამართლობას?..

...შენ გაიცინე...

—

გავაორკეცე ჩემი შრომა.. დღიან-ღამიან მე არ ვიცოდი თუ რა არის ძილი—განცხრომა... არცა ვფიქრობდი სიმდიდრეზე, ნეტარებაზე... არც შენებრ ფუჭსა, უმნიშვნელო ცხოვრების სვლაზე.

მაინც მაჯობე... მოუმატე სიცილ-ხარხარსა... ნადიმებს მართავ... მხიარულობ, კმაყოფილი ხარ...

მე კვლავ ვწვალობ. მცივა, ვკანკალებ... ჩემი ცოლ-შვილიც კვლავ მომძახის: „მამავ, გვშიანო“...

გავკადნიერდი... და როს გკითხე, რად ხდება აგრე?

შენ გაიცინე...

...მე-კი ვიტირე:

—

უცბად გონს მოველ. ჩამჩურჩულეს რაღაცა ხმებმა, რომ მეც კაცი ვარ... თავისუფლად ქვეყნად შობილი...

შენებრ უფლებით აღჭურვილი... ადამიანი... რომ ეს უფლება შენის ნებით, ძალად მომტაცე... შენ მიითვისე, ისარგებლე ჩემის სისუსტით...

როს სახალხოდ ვაღიარე ჩემი უფლება და მოვითხოვე ჩემი წილი, ჩემი კუთვნილი...

შენ გაგიკვირდა...

მე გავიცინე...

აღარ გიცანი შენ—ბატონად, ყმად—ჩემი თავი... ჩემი ნაშრომი აღარ მოგეც ფეხით სათელად. ცოლ-შვილს ვაჭმე, დავიფარე სიცივისაგან... აღარ გესმოდა მათი კვნესა, მათი ტირილი. ჩემის შუბლიდან გადმონადენ ოფლის შხუილი შენს ბოროტ სმენას აგრე რიგად აღარ ატკბობდა.

და ამ ნომრისათვის. სასურველია ბარათების მომწერთა ფოტოგრაფიულ სურათების ნახვა. ახალგაზდა კაცი იძლევა პატიოსან სიტყვას, რომ მიღებულ ბარათების შინაარსი არავის არ ეცნობება. ხელმოუწერელ წერილებს არავითარი ყურადღება არ მიექცევა...“ ან კიდევ ამნაირი: ,,ხანში შესული ვაჭარი, რომელსაც რამდენსამე ათასად ღირებული სავაჭრო სახლი აქვს, ეძებს ცოლს,—ქვრივსაც არ დაიწუნებს. რადგან მას განზრახვა აქვს სავაჭრო მაღაზია ერთი-ორად გაადიდოს, ამიტომ მზითევიც საჭიროა (ფულით). ვისაც სურს, პირობები და თავისი ტანადობის და ხასიათის აღწერა უნდა გამოგზავნოს დაუყოვნებლივ ამა და ამ ადრესით. ქორწინება უნდა მოხდეს ორი თვის განმავლობაში..“

ქართველი მკითხველის სამართლიანი განცვიფრება განრისხებით შეიცვლებოდა, როდესაც ცოტა ხნის შემდეგ ასეთ განცხადებას მოჰკრავდა თვალს: ,,ახალგაზდა თვრამეტი წლის ქალი, მდიდარი და ფრიად ლამაზი, პატივცემული ოჯახის წევრი, გათხოვების სურვილს აცხადებს. მსურველმა უნდა წინდაწინვე იცოდეს, რომ გაუთხოვარ ლამაზ ქალს უქმროდ პატარა ქალიშვილი ჰყავს, რომელიც მან უნდა იშვილოს. მამაკაცთა ფოტოგრაფიული სურათი აუცილებელია. ცნობები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით»...

მკითხველის გაკვირვებას საზღვარი არ ექნებოდა, გაზეთს მაშინვე გადააგდებდა და თავის თავს ჰანნიბალისებურ ფიცს მისცემდა, რომ არაოდეს არ გამოეწერა და არ წაეკითხა ის ურცხვი გაზეთი, რომელმაც გაბედა ასეთ უზნეო განცხადებათა გამოქვეყნება. „ეს ხომ ნამდვილი გარყვნილებაა,—აჩქარებით წამოიძახებდა ის,—სიყვარული, ეს ერთად-ერთი წმინდა გრძნობა, რომელიც თანამედროვე ადამიანს კიდევ შერჩენია, სავაჭრო სპეკულაციის საგნად გახადეს“. სიყვარული და ყიდვა-გაყიდვა, ეს მისთვის გაუგებარი და საშიშარი რამ არის. ვინ იცის, რა სასოწარკვეთილებას არ მიეცემა გაცხარებული ქართველი თანამედროვე კულტურის და საზოგადოებრივი ზნეობის გამო. კარგი, რომ ქართულ გაზეთებში ასეთი შინაარსის განცხადებები ჯერ-ჯერობით არ იბეჭდება, თორემ მკითხველთა ისედაც მცირე წრე შესამჩნევად შემცირდებოდა.

გერმანიაში კი ამგვარი განცხადებები ჩვეულებრივი მოვლენაა,—ვერც ერთს გაზეთს (რა მიმართულებისაც უნდა იყოს) ვერ ნახავთ, რომელშიაც ასეთი განცხადება ბლომად არ იბეჭდებოდეს. გერმანიაში (და საზოგადოდ ევროპაში) ასეთი მოვლენა არავის აკვირვებს, ისე, როგორც ჩვენში არავის აკვირვებს განცხადება ახალ სასტუმროს გახსნის შესახებ. არსებობს აგრეთვე სპეციალური გაზეთები, რომელშიაც მხოლოდ ,,სასიყვარულო'' განცხადებები იბეჭდება. ბერლინში ვერც ერთ მთავარ ქუჩაზე ვერ გაივლით, რომ გაზეთის დამტარებელმა Heiratszeitung (,,ცოლის შერთვის გაზეთი'') ხელში არ მოგაჩეჩოს. აი, ასეთია დასავლეთი! რუსთა სლავიანოფილები ხომ უმიზეზოდ არ უწოდებდნენ მას ,,დამპალ ევროპას!''..

თანამედროვე გართულებულმა ცხოვრებამ ,,სიყვარულსაც'' დააჩინა თავისი დაღი. ძველი დროის უანგარო და რაინდული სიყვარული ჩვენმა პრაქტიკულმა საუკუნემ უბრალო ,,საქმიანობად'' გახადა. თანამედროვე ,,კულტურული'' ადამიანი სიყვარულსაც სარგებლობისა და ყაირათის პრინციპით ზომავს. გამწვავებული ბრძოლა არსებობისათვის ანგრევს იდილლიურ განწყობილებას: ყველა ცდილობს ცხოვრებიდან გარიყული არ დარჩეს, რისთვისაც საშუალებას დიდად არ ერიდება. სიყვარულის გრძნობა ანგარიშს უთმობს ადგილს. თუ ამ ასიოდე წლის წინად დიდებული იმმანუილ კანტიც კი სერიოზულად ურჩევდა თავის მოწაფეებს, მდიდარი ცოლი შეირთეთ და მაშინ თავისუფლად შესძლებთ ფილოსოფიით მეცადინეობას, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ნივთიერ უზრუნველყოფისადმი მისწრაფებას თანამედროვე ადამიანის მოქმედებაზე. როდესაც კონკურენციამ უმწვერვალეს წერტილამდე მიაღწია და როდესაც ცხოვრება შეუდარებლად გაძნელდა, ყველა იძულებულია წამდაუწუმ თავის მრავალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის თვითონვე იზრუნოს და, თუ როგორმე მიზანს მიაღწევს,—კმაყოფილიც არის. ამა თუ იმ საქციელის ზნეობრივ გამართლებაზე თითქმის აღარ ფიქრობენ. ან როგორ უნდა იფიქრონ, როდესაც შეუბრალებელი ცხოვრება სასტიკ ულტიმატიუმს უდგენს: ან უნდა გაჰქრე და ან პრაქტიკულ საუკუნის კანონებს ძალაუნებურად დაემორჩილოო...

ასეთი „ძნელი“ და ზნეობის მხრით დასაგმობი მოვლენა მტკიცედ შეკავშირებულია ვაჭრობა-მრეწველობისა და მოქალაქობრივს განვითარებასთან. ვინ იცის, ეკონომიურ ცხოვრების განვითარებამ, იქნება, ერთ დროს ჩვენშიც გამოიწვიოს მსგავსი მოვლენა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ევროპაშიც ერთ დროს ზემოაღნიშნულის მსგავსი განცხადება საერთო წყრომას გამოიწვევდა, მაგრამ შემდეგ დრონი იცვალნენ,—tempora mutantur...

ცნობილია, რომ ახალ საეკონომიო ეპოქის ერთ ნიშნობლივ თვისებას შეადგენს რეკლამის მნიშვნელობის საოცარი გადიდება. თანამედროვე მრეწველი, ვაჭარი, მეურნე და სხვანი იძულებულნი არიან საქონელზე მყიდველ საზოგადოების ყურადღების მისაქცევად რეკლამით ისარგებლონ. აუარებელი ფული იხარჯება უსარგებლოდ, რადგან რეკლამა საქონლის ღირსებას და ღირებულებას არაფერს უმატებს. მიუხედავად ამისა, წარმოებისა და საზოგადოდ რაიმე სამრეწველო-სავაჭრო საქმის არსებობა და განვითარება გერმანიაში ურეკლამოდ ძნელად წარმოსადგენია. პრაქტიკულ გერმანელს შესისხლხორცებული აქვს ის აზრი, რომ გაჩუმებითა და განაზებით ვერაფერს გააკეთებს, რომ საზოგადოების ყურადღების მისაქცევად საჭიროა ახმაურება და ქებათა ქების შესხმა...

რა განცხადება გნებავთ, გერმანულ გაზეთში ვერ ნახოთ. გაზეთები სავსეა ყოველგვარ ჩვენთვის უცნაურის განცხადებით, მაგ.: გერმანელს სურს სადმე სასეირნოდ წასვლა, ან ამხანაგებთან ქაღალდის თამაში ან სხვა ამგვარი, მაგრამ მისი ნაცნობები უარს ამბობენ. მარტოდ წასვლას კი მნიშვნელობა არ ექნება. მაშინვე აცხადებს ადგილობრივ გაზეთში თავის სურვილს და სთხოვს მსურველთ, თანხმობა წერილობით შეატყობინონ, და ამრიგად ადვილად პოულობს ამხანაგებს.

რადგან პრესსა ამ მხრივაც ყველასათვის აუცილებელია, გაზეთებსაც ბლომად იწერენ. ვერ შეხვდებით ისეთ ოჯახს, სადაც არ ჰქონდეთ რამოდენიმე ყოველდღიური გაზეთი. განცხადებათა წაკითხვა საქმიან გერმანელისათვის სიამოვნებასაც კი შეადგენს. თუ ჩვენში სადილის დროს უმთავრესად პოლიტიკაზე ბაასობენ, აქ სამაგიეროდ განცხადებებს კითხულობენ და მით ირთობენ თავს. თუ რამდენად გავრცელებულია გერმანიაში გაზეთები, ეს სჩანს, სხვათა შორის, შემდეგის ფაქტიდანაც: ერთ პროვინციალურ ქალაქში ექვსი გაზეთი გამოდის, რომლებშიაც განცხადებებისა და დეპეშების მეტი არა იბეჭდება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უშინაარსო გაზეთები გონების საზრდოდ არავითარ მასალას არ იძლევიან, თითოეულ მათგანს მაინც ოც-ოცი ათასი ხელის-მომწერი ჰყავს წლიურად (მცხოვრებთა რიცხვი უდრის მხოლოდ 70 ათასს). აქ კომენტარიები საჭირო აღარაა...

რეკლამას უნდა მიმართონ სერიოზულ გაზეთებმაც. მათი განცხადება ხელის მოწერაზე ნამდვილი მოწოდებაა. ავიღოთ, მაგ., ერთის კარგად ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწის ფრ. ნაუმანის გაზეთის განცხადება. ფრ. ნაუმანი ისეთი კაცია, რომ მისს უანგარობაში მის მტრებსაც-კი არ შეაქვთ ეჭვი. მისი ორგანო აცხადებს: ,,ჩვენ გთხოვთ! მიმდინარე წლის პირველი მეოთხედი თავდება. ახლოვდება ისევ ის დღე, როდესაც წიგნის მაღაზიის პატრონებმა და ფოსტამ წლის ახალ მეოთხედისათვის ჩვენ მკითხველთ ხელის მოსაწერი ბლანკი უნდა წარუდგინონ. ჩვენ იმედი გვაქვს,—და—ტყუილად არა,—როგორც აქამდის ჩვენი გაზეთი საბრძოლველი ამხანაგი და მრჩეველი იყო პოლიტიკისა, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში, ისე მომავალშიც ეცდება აჩვენოს გერმანელ ხალხს გზა თავისუფლებისადმი და ძლიერებისადმი, კაცებსა და ქალებს აამუშავებს ხალხის ამაღლებისა და განათლებისათვის. ეხლანდელი მდგომარეობა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში გვათქმევინებს, თუ რა საჭიროა ამ კითხვებზე კარგად და საქმიანად პასუხის გაცემა. ამ მაღალსა და ძნელ დანიშნულებას ჩვენი გაზეთი მხოლოდ მაშინ შეასრულებს სასურველად, როდესაც ჩვენი მკითხველიც თავის მხრით ნდობით დაგვასაჩუქრებს. ამიტომ გთხოვთ კიდევ: ხელის მოწერას ნუ შესწყვეტთ! მოაწერეთ ხელი თქვენთვის და თქვენის მეგობრებისათვის. ყველა მეგობრებს წინდაწინვე ჩვენი მადლობა. რედაქცია“.

ქართული გაზეთისათვის ასეთი მოწოდება გამოქვეყნება სათაკილო იქნებოდა და, ვინ იცის, რით ახსნიდნენ ამგვარ სითამამეს. მაგრამ გერმანიაში ესეც ჩვეულებრივი რამ არის. რატომ?—იკითხავს მკითხველი. იმიტომ, რომ აქ ყველა დარწმუნებულია,—მხოლოდ თამამის, ენერგიულ მოქმედებით შესაძლებელია გავლენის მოპოვება, მხოლოდ ასეთი ახმაურებითა და რეკლამით პრესის ხმა არ დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“. მხოლოდ სიცოცხლით სავსე და ამასთანავე სერიოზული პრესსა შესძლებს გართულებულ ცხოვრებას ანგარიში გაუწიოს და ამას გერმანული პრესსის მაგალითიც საკმაოდ ამტკიცებს..

რადგან გერმანელთა უცნაურ ზნე-ჩვეულებაზეა ლაპარაკი, მეტი არ იქნება, თუ კოცნის თავისუფლების ჩვეულებასაც გავეცნობით. ნაცნობები მარწმუნებდნენ, რომ ყველიერში სამი დღის განმავლობაში ყველას უფლება აქვს ქუჩაში გამვლელი ქალი (უცნობი თუ ნაცნობი) გააჩეროს და აკოცოს, მაგრამ თქვენს უმორჩილეს მონას ეს მაინც არა სჯეროდა. ვერ წარმომედგინა, რომ სერიოზი გერმანელები, რომელნიც თავის ზნეობრივის სიფაქიზით დიდად ამპარტავნობენ, რომელნიც რუსებსაც კი დასცინიან „თავისუფალ სიყვარულისათვის“, ნებას მისცემდნენ თავს უცნობ ქალთა ლოყებზე ნებადაურთველად ევარჯიშნათ. უნდა გამოვტყდე, რომ მოუთმენლად მოველოდი იმ დროს. წარმოიდგინეთ, გამართლდა ნაცნობთა ნათქვამი (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ჩვეულება უმთავრესად კათოლიკეთა ქალაქებშია შემოღებული; პროტესტანტები საზოგადოდ უფრო გულცივი ხალხია). სამი დღის განმავლობაში მთელ ქალაქს სულ სხვა ფორმა მიეცა: ძნელი წარმოსადგენია ისეთი სიცხოველე და მყუდრო მცხოვრებთა ისეთი აფორიაქება, როგორიც არის ყველიერში. ქუჩებში გავლა სახიფათოა, რადგან იქ მყოფი მრავალი ქალი და კაცი „კონფეტის“ სროლით მოსვენებას არ გაძლევს. და თუ შემთხვევით პირი ღია დაგრჩათ, ინანებთ, რადგან მაშინვე ძველის კონფეტით გაავსებენ. საერთო მხიარულებაა. ამ დროს ყველანი „შენობით“ ლაპარაკობენ, თითქო ყველა ერთი ოჯახის წევრი იყოს. შეგიძლიანთ გერმანელთან რამდენსამე წელს ერთად სცხოვრობდეთ, მაგრამ მის უკიდურესს ინდივიდუალისტურ ბუნებისათვის მაინც შეუძლებელი იქნება გულითად განწყობილების შემოღება. მაგრამ ამ დროს კი მოუხეშავი ინდივიდუალისტიც ყველაფერს ივიწყებს და თავისის სიმხიარულით ქართველსაც კი გააკვირვებს. რაც შეეხება კოცნას, ეს ხომ ნება-დართულია: შეგიძლიათ თავისუფლად და მოურიდებლად გამვლელ-გამომვლელი ქუჩაზე გააჩეროთ და... აკოცოთ. არავინ პროტესტს არ განაცხადებს. და ეს არა მარტო ქუჩაზე, არამედ ყოველგან, ყავახანებსა, სასტუმროებში, საცეკვაო საღამოებზე და სხვ. ასე მხიარულად ატარებენ გერმანელები ყველიერს. მათ შრომაც უყვართ და მხიარულად დროის გატარებაც.

Rali.

...მაშინ გაბრაზდი...

და ჩემი შრომით განასუქი შენი ძაღლები, ჩემს დასაგლეჯად, საწამებლად შემომისიე.

და როს ავმხედრდი, ხელში კეტით...

...შენ გაილანძე, დამიყვირე...

— მონაო მხდალო! როგორ მიბედავ მე ძლიერსა შეურაცხყოფას.

სისხლი ამემღვრა, გული ბრაზით ლამის გამისკდეს.

—

მონა აღარ ვარ... გავიმარჯვე!

შენ კი დამარცხდი.

და როს უმწეოდ, უსახლ-კაროდ თავი იგრძენი, იგრძენ, რომ ძალა აღარ გყოფნის, მომხრეც არვინ გყავს—თავი ჩაჰკიდე, გულ-ამოსკვნით.

...იწყე ტირილი...

...მე გავიცინე!

თან გამიკვირდა: როს მე ვიყავი შენგან უღვთოდ განაწამები, მაშინ სად გქონდა რჩვილი გული და ეგ ცრემლები...

ახლა კი სტირი?!..

ვალიკო გურული.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება.

სამშაბათს, 22 მარტს, სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება იყო. თავმჯდომარეობდა უგ. თ-დი პ. ა. გრუზინსკი. კრებას გარეშეც ბევრი დაესწრო.

ვ. რცხილაძემ წაიკითხა თავისი მოხსენება, რომელიც „ივერიაში“ უკვე იყო დაბეჭდილი (№ 34). მოხსენების წაკითხვის შემდეგ, ბ-ნმა რცხილაძემ დაუმატა შემდეგი: ეხლა, როდესაც მთელი საზოგადოება მოუთმენლად მოელის სახელმწიფოს აწ არსებულ წესწყობილების ძირიანად შეცვლას, როდესაც მთელი რუსეთი პოლიტიკურ თავისუფლებასა და ხალხის წარმომადგენელთა საერთო კრებას თხოულობს და მხოლოდ ამ დამფუძნებელ კრებასა სთვლის არსებულ წესწყობილების უმთავრეს შემცვლელად,—ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ დამფუძნებელმა კრებამ არ უნდა დაივიწყოს, იმპერიის განაპირა ქვეყნებისა და, მათ შორის, ამიერ-კავკასიის ცხოვრების მოწესრიგებაც არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენ ვთხოულობთ განთავისუფლებულ ვიქმნეთ ბიუროკრატიის ბატონობისაგან და სრული, ყველასათვის თანასწორ-უფლებიანი და დამოუკიდებელი, ადგილობრივი ავტონომიური თვითმართველობა მოგვენიჭოს. ამას ის უტყუარი და უეჭველი მოსაზრებაც თხოულობს, რომ რაც უფრო დამოუკიდებელია თითოეული ნაწილი სახელმწიფოსი, მით უფრო ძლიერია თვით სახელმწიფოც.

ბ-ნ რცხილაძის მოხსენების შემდეგ, აგრონომ დემენტიევს თავისი მოხსენება უნდა წაეკითხა, მაგრამ დემენტიევმა განაცხადა, ჩემი მოხსენება ისე წააგავს ბ-ნ რცხილაძის მოხსენებას, რომ მისი წაკითხვა განმეორება იქნება იმისი, რაც ბ-ნ რცხილაძემ ბრძანაო.

ვ. რცხილაძე. მაშინ, როდესაც მთელმა რუსეთის საზოგადოებამ და სხვადასხვა დაწესებულებამ შეიმუშავა და მთავრობას წარუდგინა თავიანთი აზრი და მოთხოვნილებანი, სამეურნეო საზოგადოებას დღემდის ხმა არ ამოუღია. ჩვენ მოვალენი ვართ, საერთო მოძრაობაში მონაწილეობა მივიღოთ, ჩვენს გაჭირვებაზე თავისუფლად ხმა ავიმაღლოთ და ჩვენი აზრიც მთავრობას წარვუდგინოთ.

ა. ბ. ევანგულოვის აზრით, ბ-ნ რცხილაძის მოხსენებაში თუ არის ლაპარაკი ავტონომიურ მართველობაზე, ეს მარტო რცხილაძის აზრი კი არ არის, ამაზე ჰფიქრობს და ამასვე თამამად თხოულობს მთელი კავკასიის მცხოვრები, აქ სეპარატიზმს ადგილი არა აქვს,—ჩვენ, როგორც მთელ რუსეთს, გვინდა განვთავისუფლდეთ ბიუროკრატიის თვითნებობისა და უვარგის მართვა-გამგეობისაგან და, ვისაც კი რუსეთისთვის სიკეთე უნდა, ყველა ამ აზრს უნდა დაადგეს, რადგან კავკასიის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მისი დამშვიდება მხოლოდ ამ გზით შეიძლება. ამიტომ ბ-ნ რცხილაძის მოხსენება ერთხმად უნდა მივიღოთ. ძალიან კარგად ვიცი, რომ ჩვენი მოთხოვნილებანი, მოხსენებანი, დეპეშები და სხვა ისევ იმ ბიუროკრატიას უვარდება ხელში და ისიც ყველაფერს უყურადღებოდ სტოვებს. რა ვუყოთ მერე? ამას ჩვენ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. ჩვენი მოთხოვნა, გამოთქმული აზრი, ამაღლებული ხმა საჭიროა რუსეთის საზოგადოებამ იცოდეს. ხოლო იქ კანცელარიები რას იტყვიან—ჩვენთვის სულ ერთია. ამიტომ, ჩემის აზრით, საჭიროა მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის სახელზე გაიგზავნოს დეპეშა და ამ დეპეშის პირი ყველა გაზეთებში დაიბეჭდოს. ჩვენს წარმომადგენლებსაც უნდა მივცეთ კანონიერი რწმუნება და პეტერბურგს გავგზავნოთ. რაც შეეხება ქ-ნ საგარდას აზრს იმის შესახებ, რომ კავკასია ავტონომიურ მმართველობისთვის ჯერ მომზადებული არ არის, ამაზე გუპასუხებ, დროა, ეს სიტყვები „მომზადებუბული არა ხართო“ დავივიწყოთ.

ვითხოვეთ საერობო დაწესებულებანი,—გვიპასუხეს-მომზადებული არა ხართო, მოვითხოვეთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები,—გვითხრეს—მომზადებული არა ხართო, ვითხოვეთ ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნა,—გვიბრძანეს მომზადებული არა ხართო. ბატონებო, როგორ უნდა მოვემზადოთ, თუ იმისთანას არას მოგვცემთ, რაც მოგვამზადებს?! ჩვენს მოუმზადებლობაზე მითითება სიცრუეა, ხრიკებია! კავკასია, დიდი ხანია, მომზადებულია და შეუძლიან კიდეც თავისი საქმეები თითონვე განაგოს. ამას მოწმობს დღევანდელი გლეხთა მოძრაობა. ამას მოწმობს გურია, რომელსაც დიდებულმა კაცმა—თვით ლ. ნ. ტოლსტოიმ—ქებათა-ქება უძღვნა და მათი მოძრაობის ელფერით აღტაცებაში მოვიდაო.

ბ-ნი ალიბეგოვი. საჭირო არ არის იმისი დამტკიცება, რომ კავკასიის ხალხი, დიდი ხანია, მომზადებულია. გლეხთა მოძრაობას გურიაში, იმერეთში, ქართლსა და კახეთში, ყველა აღტაცებაში მოჰყავს, მაგრამ რას იზამ, როდესაც ბიუროკრატიული რეჟიმი დაგვწოლია კისერზე და შვებას არ გვაძლევს! რანაირად უნდა განვითარდეს ხალხი, როდესაც გარშემო ტყვია ზუზუნებს და ხმალი ბზუვრიალებს უმიზეზოდ და უდანაშაულოდ ძმის სისხლი იღვრება მხოლოდ მიტომ, რომ ეს პოლიციასა სურს!

ალიბეგოვის აზრით,—საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს დამფუძნებელი კრება. საჭიროა აგრეთვე მოწვეულ იქმნას სამეურნეო საზოგადოებების წარმომადგენლნი და ამ კრებაში გლეხ-კაცობამაც უნდა მიიღოს განსაკუთრებული მონაწილეობა, რადგანაც დღევანდლამდის მას ყურს არავინ უგდებდა.

ბ-ნი ქალანთარი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომელშიაც სდგას სამეურნეო საზოგადოება. ორმოცდაათი წელიწადია ვცდილობთ კავკასიაში მეურნეობა გავაფართოვოთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით.

ისეთ უბრალო საგანზე, როგორც, მაგალითად, სახალხო კრედიტის მოწყობაა, მთავრობამ უარი გვითხრა. არ მოგვცეს ნება გაგვემართა ხალხთან საუბარი მეურნეობაზე. არც ერთი ჩვენი ინიციატივა არ განხორციელდა. ყველა ნაბიჯზე ჩვენ წინ გვეღობებოდა მრავალი დაბრკოლებანი. ბ-ნ რცხილაძის მოხსენებით, ეს დაბრკოლებანი უნდა თავიდან ავიშოროთ და, რადგანაც ჩვენ არა გვყავს ერობისა და სოფლის წარმომადგენელნი, ეს მოვალეობა სამეურნეო საზოგადოებამ თავის თავზე უნდა მიიღოს, დაეთანხმოს ბ-ნ რცხილაძეს და საბჭოს გარდაწყვეტილება მთავრობას წარუდგინოსო.

ბ-ნი სააკოვი., ასი წელიწადია ჩვენ რუსეთის მფარველობის ქვეშ ვართ და ჩვენი კულტურული წარმატება წინ არ წასულა. ხალხი გაღარიბებულია, არა გვაქვს სკოლები და სხვა. ამბობენ, რომ თქვენ თვითონა ხართ დამნაშავე, თქვენი ხალხი ზარმაციაო და სხვა. ჩვენ კი არა ვართ დამნაშავე, დამნაშავეა ბიუროკრატიული, პოლიციური რეჟიმი, რომელმაც შექმნა ჩვენში სრული ანარქია. ეხლა დადგა დრო, როდესაც ბიუროკრატიამ ახალს მმართველობას უნდა დაუთმოს ადგილი. საჭიროა, საბჭოს კომისიაში გავგზავნოთ ჩვენი წარმომადგენელი. ავტონომიის საკითხის გადაწყვეტა ორის სიტყვით შეუძლებელიაო. სააკოვის აზრით, საჭიროა ამ საკითხის ჯერ-ჯერობით გადადება და დაწვრილებით შემუშავება.

იგრ. ტიმოფეევის აზრით, იქ, სადაც ორი ძმა თანასწორ უფლებით არის აღჭურვილი, ავტონომიას ადგილი არა აქვსო.

ვ. რცხილაძე უპასუხებს, რომ ავტონომიის საკითხი ძმობასა და ერთობას სრულიადაც არ ავნებსო.

ბევრის ბჭობის შემდეგ, რაშიაც გარეშე მსურველებმაც მიიღეს მონაწილეობა, კრებამ ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია დაადგინა: მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება; ავტონომიის საკითხი პრინციპიალურად მიღებულ იქმნას და აირჩიოს თავისი წარმომადგენელი პეტერბურგში გასაგზავნად; წარმომადგენლის არჩევა მიენდოს საზოგადოების საბჭოს.

კრება 12 საათზე დაიშალა.

კორესპონდენცია

ქ. გორი, 17 მარტი. ნაშუადღევის ორ საათზე გაისმა საყდრების ზარის რეკა. ხალხი ამოძრავდა. ვაჭრებმა დუქნებს კეტვა დაუწყეს. ყველგან ქუჩებში დაინახავდით ჯგუფ-ჯგუფად ქალაქის სამხრეთისკენ მიმავალ ხალხს. ამით ყველას შეატყობდით სახის გამომეტყველებაზე, რომ [illegible] ნი რაღაც საერთო [illegible] ოძრავებია და [illegible] ის მათგან [illegible] პასუხს. ამასთანავე შენიშნავდით, რომ ესენი გაცხარებით კამათობდნენ ერთმანეთში და ეს კამათი ისეთი მაღალი კილოთი იყო გამართული, რომ გარეშე კაცს, ე. ი. არა გორელს, რომელმაც იმ ოთხი დღის განმავლობაში მომხდარ ამბების გამო არაფერი იცოდა, გორელების ჩვეულებრივი ჩხუბი ეგონებოდა.

შეგროვდნენ კიდეც 4-ს საათზე ყველანი დანიშნულ ალაგას ქალაქის სამხრეთით მინდორში, სადაც 15-ს მარტსაც ჰქონდათ კრება. ამ კრებაში მონაწილეობას იღებდნენ ქალებიც. შეკრებილნი 2,000 იქნებოდნენ. კრების შუა ალაგას დასდგეს სტოლი ორატორებისათვის. ხალხი სულ განაბული ისმენდა ორატორების სიტყვებს და თავის თანხმობას დრო-გამოშვებით საერთო ახმაურებით გამოაცხადებდა ხოლმე. ასეთი თათბირი ხალხისა გაგრძელდა ორ საათს. ვნახოთ, ქალაქიდან მოისმა მომღერალთა ხმა. ყველამ ყურები ცქვიტა. რა ამბავია? კითხულობდნენ ერთმანეთში. ვიღაცამ სთქვა, რომ იმერლები მღერიანო. ხალხიც დაკმაყოფილდა ამითი და განაგრძეს თავიანთი სჯა-ბაასი. არ გასულა ათი წუთი, რომ კრებასთან მოვიდა მაზრის უფროსი ცხენით და თანაც ერთი ,,სტრაჟნიკი'' ახლდა, ამ დროს ორატორი ხალხს უხსნიდა—რა მნიშვნელობა აქვს სასწავლებლებში სამშობლო სწავლას და დღეს რომ ეს ასე არ არის, რა შედეგს ვხედავთ ცხოვრებაში.

მაზრის უფროსის მოსვლამ ხალხი აალელვა და რაღაც უსიამოვნებას ჰგრძნობდა. რად მოვიდა? თითქო მაგან თავისუფლად შეკრების ნება მოგვცა? „სტრაჟნიკი“ რაღათ მოჰყვა თან? განა ჩვენ რას დავუშავებდით, რომ მარტომ არ გვეძნაულა? აი, რა კითხვები გაისმა ხალხში. მაზრის უფროსს არაფერი არ უთქვამს ხალხისათვის და ისიც სხვასთან ერთად ყურს უგდებდა ორატორებს. ამ დროს კრების მოშორებით გამოჩნდნენ ყაზარმებში მიმავალნი კაზაკები, რომლებიც ამ დღეს მოვიდნენ გორში. ესენი გახლდნენ ის მომღერალნი, რომლებიც ხალხმა იმერლებად მიიღო. ისინი შეჩერდნენ გზაში და კრებისკენ დაიწყეს ცქერა. ალბად, არეულობის იმედი თუ ჰქონდათ. კაზაკები ათ წუთს იყვნენ შეჩერებულნი და, რა დარწმუნდნენ, რომ არაფერი ,,ბუნტი'' არ არის, ყაზარმებში წავიდნენ. მაზრის უფროსიც გაშორდა ხალხს

თხუთმეტ წუთს შემდეგ კრებასთან მოვიდა ცხენით მაზრის უფროსის თანაშემწე ერთი „სტრაჟნიკით“ და კრების ხალხს გამოუცხადა შემდეგი: „ხალხო! მაზრის უფროსმა შემოგითვალათ, დაიშალენით და კვლავ შეკრების ნებას აღარ გაძლევთო“. ხალხი აღელდა. რათა? როგორ? რა დავაშავეთ?—ასე ეკითხებოდნენ ერთმანეთს და იწყეს კიდეც ნელ-ნელა დაშლა. არ გასულა ერთი საათი, რომ ქუჩებში კაზაკებმა და სტრაჟნიკებმა წყვილ-წყვილად ცხენებით იწყეს სიარული. .

...გორელებმა ნათლად დაინახეს დღეს, თუ რა მოქალაქენი ყოფილან ისინი. გორელები დღეს „ბუნტოვშჩიკებად“ არიან გამოცხადებულნი და კაზაკები და სტრაჟნიკები ერთ ფაცი-ფუცში ჩავარდნენ. ეტყობა, ადმინისტრაციის თვალში ჩვენც საკმაოდ გავზრდილვართ... ახლა აღარ იქმნებიან გორელები გულ-ნაკლულნი: ისინიც ყოფილან ცოცხალ არსებად აღიარებულნი.

სალამოს მაზრის უფროსმა დაიბარა რამდენიმე გორის მოქალაქე და დაავალა მათ, რომ შეკრებილიყვნენ ქალაქის გამგეობის დარბაზში და შეემუშავებინათ მოთხოვნილებანი,—მხოლოდ ბიჭ-ბუჭებს ნუ შეჰყრითო. ასეთმა წინადადებამ გორელები ძალიან გააკვირვა. ნეტა, ვის უწოდებენ „ბიჭ-ბუჭებსო“, ამბობს ხალხი,—მაშ წინანდელ კრებაზე „ბიჭ-ბუჭები“ ყოფილან შეკრებილნიო. ახლა საკითხი ესაა: ვინლა უნდა მივიდეს ქალაქის გამგეობაში კრებაზე, თუ არ ისევ ის გორელები, რომლებიც წინადაც იყვნენ კრებაზე და რომელთაც მაზრის უფროსმა „ბიჭ-ბუჭები“ უწოდა..

ს. ა—ლი.

—

რაჭა. მთელი იმერეთი ამოძრავდა, ალაპარაკდა, უჩივის და ებრძვის იქ გამეფებულ უსამართლობას. იმერეთს მხარს ვერ უჭერს მხოლოდ რაჭა. რაჭველების სულგრძელობა და მოთმინება, მე მგონია, მათ უსწავლელობას, მათ გონებრივ დაქვეითებას უნდა მიეწეროს. დიაღ, სდუმან რაჭველები, მაგრამ აქაურ მოხელეებს მაინც სულ „ბუნტი“ ელანდებათ. აქაურებმა რომ, ჩვეულებისამებრ, სამუსაიფოდ თავი შეიყარონ, ისიც «ბუნტი» ჰგონიათ. მოხელეების შიში იმდენად გაძლიერდა, რომ ამას წინად ტყის მცველთა უფროსმა, ,,ნაჩალნიკის'' ბრძანებით, ტყის მცველები დაიბარა და გამოუცხადა, თუ „ბუნტი“ მოხდეს სადმე ,,სტრაჟნიკებს'' მოეხმარეთო. ასე რომ, რაჭველებისათვის ტყის მცველიც პოლიციელია და, თუ გნებავთ, უარესიც აი მაგალითი: ერთ ტყის მცველს ერთი მედუქნის ცოტაოდენი ფული მართებდა. მედუქნემ თავისი ფული სთხოვა, მაგრამ მან უარი უთხრა: შენი არა მმართებს-რაო. ამაზე ლაპარაკი მოუვიდათ ტყის მცველმა რევოლვერით მოიწია, მაგრამ ხალხმა არ გაუშვა. მერმე ტყის მცველი შინისკენ გაიქცა ბერდანის თოფისთვის ამ სიტყვებით: ,,როგორ, ჩემიდან გინდათ, დაიწყოთ „ბუნტი“ მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, მაგრამ, მისდა და ჩვენდა საბედნიეროდ, შინ რომ მისულიყო, ქალებს გაეკავებინათ. როგორც სანდო პირისაგან გავიგე, ზოგიერთ ვითომდა ,,ბუნტოვშჩიკს'' ჩივილს უპირებს, ე. ი. დასმენას, ვისთანაც ჯერ არს.

თუ აქაურ მოხელეებს „ბუნტისა“ ეშინიათ, სამაგიეროდ, რაჭველ კაცს მათი ეპოლეტებისა ეშინია. აი, მაგალითიც: აქაურმა სახელმწიფო [illegible] მუშებმა თავისი უფროსისაგან ცხოვრების გასაუმჯობესებელი პირობები მოითხოვეს თურმე. უფროსმა ეს ბოქაულს გამოუცხადა. როცა პრისტავი დაეკითხა მუშებს: მართლა გაბედეთ რისამე თხოვნაო, მათ უთხრეს: ჩვენ არაფერიც არ გვითხოვნიაო, და „მშვიდობით წავიდნენ.“

თუმცა ეს ასეა, მაგრამ წლეულ ხალხის უმეტესობაში გაიღვიძა ცოდნის სურვილმა. თუ აქამდის ჟურნალ-გაზეთები ხალხს არ აინტერესებდა, ახლა დღევანდელმა გაბედულმა სიტყვამ ის ძალიან გაიტაცა.

მ. კორდელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

23 მარტი.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობები შორეულ-აღმოსავლეთიდან 22 მარტს არ მოსულა.

მარსელი, 22 მარტი. გემს „კალედონიელს“ ბალტიის ესკადრის გემები შეხვედრია მეწამულ (წითელ) ზღვაზე.

შანჰაი. იაპონიის რაზმი კაიუანიდან 20 მარტს აიშენკუს დაეცა, 33 ვერსის სიშორეზე კაიუანიდან ჩრდილო-აღმოსავლეთად, და რუსის ჯარი განდევნა.

ლონდონი. „სტანდარტის“ კორესპონდენტმა მაკაველმა საინტერესო წერილი დაბეჭდა პორტ-არტურის შესახებ. კორესპონდენტი ამბობს, გენერალ სტესსელის ცნობები იმას ეწინააღმდეგება, რაც მე ჩემის თვალით მინახავს და შემიმჩნევიაო. პორტ-არტურის დაცვას ორნაირი მიზანი ჰქონდა,—ნავთსადგურის შემაგრება, ვიდრე ბალტიის ესკადრა ჩავიდოდა, რომ ბინა ჰქონოდა, და მარშალ ოიამას ძალის განაწილება. 203 მეტრიანი გორა რომ აიღეს იაპონელებმა, პირველი მიზანი მოსპო, ხოლო რაც მეორეს შეეხება, ყოველ დღე გენერალ კუროპატკინის ლაშქარს ახალის ჯარით აძლიერებდა. ამიტომ სტესსელს ციხე არ უნდა დაეთმო, ვიდრე უკანასკნელი სროლაც არ შემოელეოდა. მწარე გამოცდილებით დარწმუნდნენ იაპონელები, რომ იერიშით ვერას გახდებოდნენ და ალყის შემორტყმითა და ხელოვნურ მოქმედებით უნდა აეღოთ ციხე. ციხის დათმობის ერთად ერთი საბუთი კაცთმოყვარეობაა. მართლაც რომ დაჭრილები და ავადმყოფები საშინელ მდგომარეობაში იყვნენ. მაგრამ კომენდანტი უმთავრესად მკვდართა და მომაკვდავთათვის კი არ უნდა ზრუნავდეს, არამედ თავის მოვალეობას ასრულებდეს სამშობლოს წინაშე. ისტორია თავის განაჩენს განუწყესებს სტესსელის მოქმედებას და, უეჭველია, გადასწყვეტს, რომ პორტ-არტურის დათმობა ყოველ შემთხვევაში ნაადრევი იყო. მაინცდამაინც, პორტ-არტურის უკანასკნელი დღეები ისე სასახელო აღარ არის, როგორც პირველი, და ციხე გასწირა მხოლოდ მეთაურმა, და არა თვით მეციხოვნე ჯარმა.

პეტერბურგი. გაზეთებში დაბეჭდილი იყო, ვითომც გარეშე საქმეთა მინისტრმა ხელმწიფე იმპერატორს წარუდგინა მოხსენება, სასურველია რუსეთ-იაპონიის ომი გათავდეს, რადგან მაკედონიის საქმე იხლართებაო. ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლიან გამოვაცხადოთ, რომ ეს ცნობები ყოვლად უსაბუთოაო.

პეტერბურგი. იაპონიის წინააღმდეგ მომქმედ ლაშქარში მყოფი გენერალ-ლეიტენანტი სლუჩევსკი სამხედრო რჩევის წევრად დაინიშნა.

ლონდონი. ლორდთა პალატაში ჯერსეიმ იკითხა, რა ღონისძიება მიიღო მთავრობამ იმის წინააღმდეგ, რომ გერმანია ხელს უშლის ინგლისის ვაჭრობას მარბალისა და კაროლინის კუნძულებზე წყნარს ოკეანეზეო. ლორდი ლანსდოუნი არ უარჰყოფს ამ ამბავს, რომელიც მთავრობას 1866 წლის ხელშეკრულობის დარღვევად მიაჩნია, ხოლო განაცხადა, მთავრობამ მისწერა კიდეც გერმანიის კაბინეტს და მტკიცედ თხოულობს, ყურადღება იქონიოს. გერმანიამ მარბალის კუნძულები ინგლისისაგან შეიძინა, კაროლინისა ესპანიისაგან, ეხლა კი ხელს უშლის ინგლისისა და მეტადრე ავსტრალიის ვაჭრობას და დიდი ბაჟი დააწესა; თვითონ კი ღია კარების პრინციპს აღგიაო.

რომი. ფორტისმა წარუდგინა პარლამენტს სამინისტროს დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია, ახალი კაბინეტი წინანდელ საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმდევარი იქმნებაო.

პარიზი. მინისტრებს ბჭობა ჰქონდათ მაროკკოს საქმეების შესახებ. თუმცა გაზეთებისთვის ცნობები არ გადაუციათ, მაგრამ „პატრიე“ არწმუნებს, მაროკკოს საქმეში საფრანგეთს ყველა სახელმწიფო ემხრობა, გარდა გერმანიისა, ამიტომ საფრანგეთი მაროკკოს განვითარებას ხელს შეუწყობს და იმ პრინციპს არ უღალატებს, რომ მაროკკოს კარი ყველა სახელმწიფოებისთვის ღია უნდა იყოსო.

კანეა. სუდის ნავთსადგურზე კრეისერებს ბრძანება მიუვიდა, მზად იყავით ჯარის გადასაყვანადო. სალხი ისევ აღელვებულია. გუშინ არჩევნებზე აჯანყებულთა შორის ოთხი კაცი დასწრეს—კანდიაში მრავალ-რიცხოვანი კრება იყო, რომელმაც დაადგინა, თანაგრძნობა შეუთვალონ ტერისოში აჯანყებულთ და განაცხადონ, რომ ხალხსა სურს კრიტოსი საბერძნეთს შეუერთდესო.

სტამბოლი. იწერებიან, ის ამბავი, ვითომც არაბებმა სანა აიღეს, ტყუილია. რიზა-ფაშა სანაშია.

ბერლინი. იმპერატორი ვილჰელმი საბერძნეთის მეფეს 23 მარტს შეხვდება კუნძულ კორფუზე.

ბელოსტოკი. საბჭომ კომისია აირჩია ადრესის დასაწერად 18 თებერვლის მანიფესტის გამო და ჩრდილო-დასავლეთის მხარის საჭიროებათა შესახებ მოხსენების შესადგენად.

ქრისტიანია. ნანსენი დაბრუნდა ლონდონიდან. [illegible] —ნანსენმა სთქვა, შვედ-ნორვეგიელ[illegible] უთანხმოების გამო, ინგლისი ნორვეგიელების მომხრეაო.

ლონდონი. ტანჟერში იმპერატორ ვილჰელმს უთქვამს ხონთქრის წარმომადგენელისთვის, ხონთქარი თავისუფალი მეფეა თავისუფალ ქვეყნისაო. გერმანია ყოველთვის მოითხოვს, რომ მასთან უშუამავლოდ იქონიოს მოლაპარაკება. ევროპიულ რეფორმების შემოღება ამჟამად იმპერატორს უდროოდ მიაჩნია. რეფორმები დამყარებული უნდა იყოს კანონსა და ისლამის ტრადიციებზეო. იმპერატორმა უთხრა საფრანგეთის ელჩს, ორთავ სახელმწიფოს შეხედულება სრულიად გამორკვეულიაო.

ოდესა. საბჭომ კომისია აარჩია მოხსენების შესამუშავებლად 18 თებერვლის რესკრიპტის გამო.

სარატოვი. გუბერნიის საერობო კრება შუამდგომლობს, სკოლების დამაარსებლებმა მხოლოდ განუცხადონ მთავრობას და არა ნებართვა ითხოვონო, წიგნთ-საცავების კატალოგში ყოველი წიგნი შეიტანებოდესო, მოსწავლეთა უფლება აღარ შეილახოსო.

მოსკოვი. რუსეთის სათეატრო საზოგადოების საგანგებო კრება დაიწყო. 900 მოღვაწე შეკრებილი. თავმჯდომარედ არჩეულია ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო.

ლონდონი. არწმუნებიან, ხონთქარი სცდილობს იაპონიის საელჩო დაარსდეს სტამბოლში და ოსმალეთისა—ტოკიოშიო. იაპონიის აგენტი სახლსა ეძებს კიდეც ჰერში.

„ვესტმინსტერის გაზეთი“ ამბობს, გერმანიის მოქმედება მაროკოში იმის შემდეგია, რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირი შესუსტდა, რადგან რუსეთი გაჭირვებაშია. გერმანია ემუქრება საფრანგეთს, ინგლისი კი შეფიქრიანებულია, რუსეთმა ინდოეთისკენ არ იბრუნოს პირი თავის სახელის აღსადგენად შუა აზიაშიო, მაგრამ ეს მოუსერხებელი უნდა იყოს.

ლიბავა. საბჭომ კომისია აარჩია მოთხოვნილებათა შესადგენად, 12 დეკემბრისა და 18 თებერვლის უმაღლეს ბძანებათა გამო.

სიზრანი. ნოქრების კრებამ ორი წარმომადგენელი აირჩია, რომლებმაც პეტერბურგის კომისიაში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

პეტერბურგი, ოფიციალურად. 22 მარტს განსაკუთრებულ საბჭომ საჭიროდ დაინახა, იმპერატორის კარის სამინისტროს ცენზურა უცვლელად დარჩესო.

კალკუტა, 23 მარტი. გუშინ დილით მიწისძვრა იყო ლაგორსა და სიმლას შორის. სულ 11-ჯერ შეირყა სამს წუთში. უფრო დაზიანდა ლაგორი, სუსორი და აგრა: ლაგორის მცხოვრებნი გაიხიზნენ. სახლები დსიქცა, ხალხი დაიღუპა. ოქროს სალოცავი კოშკი დაინგრა. ლაგორის საუკეთესო შენობა მთელს ინდოეთში დაზიანდა, დიდად დაზიანდა დელი და სიმლა. დიდი უბედურობა დატრიალდა ნეპალისა და რაჯპუტური ოლქებში.

პარიზი. სოციალისტთა სახელით [illegible] და პრესანსემ მთავრობას მოსთხოვეს—[illegible] მაკედონიისა და მაროკკოს საქმების ვითარება და გერმანიასთან დამოკიდებულობა.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № (3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 6) ც. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 10 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბ[illegible] უფასოდ და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გელეიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟეს კის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ლაგოდეხიდან, ამხანაგობის „შრომის“ (კ. აფრიკიანის) სანერგეებიდან, ჩამოტანილია 1—3 წლის **ხეხილები** და სხვადასხვა ჯიშის **ხეხილის ნერგები**. იყიდება ტფილისსა და გორში. მსურველთ მიჰმართონ: ტფილისში—,,მელიქ ბახტამიანცისა და ამხ.''-ის მაღაზიას, პუშკინის ქუჩაზე, გორში,—კ. აფრიკიანს. (6—6)

თხზულება ნ. ნიკოლაძისა
იაპონია
ფასი—20კ. აქვე იყიდება დიდი სურათი
შოთა რუსთაველისა—50კ.
ტფილისი, წიგნის მაღაზია „**ცოდნა**“.
(10—31—5)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 23 марта 1905 г.

ელ.ექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.